საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 2 თებერვალი. 2016 წ. №19 (7911), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!...

ლარი სახრჩობელის ყულფად იქცა...

თუკი ფული ეკონომიკის სისხლია, ხოლო დღევანდელი ვაი-ეკონომიკა არა შემოსავლებისა და წარმოების, არამედ ოდენ ვალებისა და მოხმარების ზრდას ემსახურება, ბანკები სწორედაც რომ წურბელის როლს თამაშობენ! რეალური ეკონომიკა სულს ღაფავს, სისხლისგან იცლება და სწორედ ამ სისხლის წოვით სუქდებიან და იბერებიან ბანკები!

მათრახი ბანკებისა და ლარის გაუფასურების შესაჩერებლად!

4

ერთგულება აწ და მარადის!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჟენევაში ჩატარებული მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეხვედრის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ერთ-ერთი საკითხი, რაზეც განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიას, კალენდრის შესახებ იყო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძველი სტილის კალენდარზე რჩება.

ერთი კვირის განმავლობაში იყო შეხვედრები და კამათი, და კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ მართლმადიდებლობა არის ერთადერთი გზა სასუფევლისკენ. მართლმადიდებლობა არის ის ეკლესია, რომელიც ატარებს რწმენას და ტრადიციებს, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიისა და ამით გადაწყვიტეს, რომ ივლისის თვეში ჩატარდება მართლმადიდებელი ეკლესიების საერთო საეკლესიო კრება. აქ იქნება განხილული ის საკითხები, რომლებიც იწვევს განსხვავებულ აზროვნებას და მიდგომებს, რათა არ იქნეს განხილული, მაგალითად კალენდარი, ზოგიერთი ეკლესია ძველი სტილზეა, ზოგი — ახალზე, მაგრამ ეს არ არის დოგმატი. ამიტომ, ეს დასაშვებია. ჩვენ როგორც ვიყავით ძველი სტილით, დავრჩებით ძველ სტილზე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი სიმტკიცე მართლმადიდებლობის ერთგულებისა გამოიჩინა საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ.

მე კიდევ ერთხელ მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო, არის და იქნება მართლმადიდებლობის ერთგული, აწ და მარადის. საქართველოს ეკლესია ის ეკლესიაა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ერი ნგრევისგან და მომავალშიც ჩვენი ეკლესია იქნება მართლმადიდებლობის სადარაჯოზე", — ბრძანა პატრიარქმა.

ipress.ge

2

ფატუ ბენსუდა:

ჰააგის სასამართლო ქვეყნებს შორის დავის გარკვევით არ არის დაკავებული და მისი მიზანი დანაშაულზე პასუხისმგებელი ინდივიდუალური პირების გამოვლენაა.

ქაოზი, რომლიდანაც თავის დაღწევა შესაძლებელია...

7

რა აქვს „გაზპრომთან" საჩუმათო საქართველოს მთავრობას?!.

3

ასეთ დროს საზოგადოება მოვალეა, მხარში ამოუდგეს ხელისუფლებას და არა სულგაყიდულ ნაციონალებს, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე რუსეთის, „გაზპრომის" და პუტინის აგრესია ელანდებათ.

7

მათხოვარი ბავშვისთვის ფულის მიცემა უნდა აიკრძალოს!!!

12

„ნიკალა პაპადან" „GEORGIAN TEATRE VAUDEVILLE"-მდე

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.472; ევრო - 2.699;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.534;
100 რუბლი - 3.245; თურქული ლირა - 0.834;
აზერბაიჯანული მანათი - 1.554;
1000 სომხური დრამი - 5.071

ამინდი 2 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -5,	დღე +5
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +5
თბილისი:	ღამე +2,	დღე +9

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

იმედის თვალით შევყურებ თქვენთან თანამშრომლობას, ბატონო პრემიერო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერას უცხადებს და გიორგი კვირიკაშვილთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს.

„ჩვენი უმთავრესი გლობალური პრიორიტეტების გატარებაში, საქართველო ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელიც თავდაუზოგავად მონაწილეობს ავღანეთის მისიაში და წვლილი შეაქვს ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. გარწმუნებთ, ამერიკის შეერთებული შტატები მომავალშიც მხარს დაუჭერს ამ ტრაექტორიას. თქვენს ხელმძღვანელობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის, ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების ხორცშესხმისათვის აუცილებელი რეფორმების განხორციელების საქმეში. იმედის თვალით შევყურებ თქვენთან თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორობის განსამტკიცებლად. ვიმედოვნებ, შემომიერთდებით ბირთვული უსაფრთხოების წლევანდელ სამიტზე, რათა განვაგრძოთ რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული ძალისხმევა“, — ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში.

მაქსიმალურად ვცდილობთ, მთავრობის პოლიტიკა გამოხატავდეს ხალხის ნებას

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, — აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობდნენ საერთაშორისო ფორუმზე — „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“.

ფორუმის გახსნის ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო.

გიორგი კვირიკაშვილმა ფორუმის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა და დამსწრეთ მთავრობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები გააცნო.

„ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მთავრობის პოლიტიკა გამოხატავდეს ხალხის ნებასა და ინტერესებს. კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი მთავრობის საქმიანობა არის ღია და გამჭვირვალე. საჭიროდ მიგვაჩნია და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავებისა და განხილვის პროცესში ჩართული იყვნენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, სამოქალაქო სექტორისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს კონსენსუსისა და სამოქალაქო თანხმობის საფუძველზე. ეს არის ევროპული მმართველობის სტილი, რაც ახალია ჩვენთვის და ნელ-ნელა მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში. ამ სტილზე უნდა გადავიდეთ და ეს პროცესი ყველამ ერთად უნდა გავიაროთ — ხელისუფლებამაც, სამოქალაქო სექტორმაც და ხალხმაც. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ მიაღწია სტაბილურ წინსვლას დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით, ხოლო ჩვენმა წარმატებებმა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მმართველობის სფეროებში საერთაშორისო აღიარება ჰპოვა,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებსაც შეეხო.

„ეს გახლავთ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული, სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რაც გადაჭრის ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. ეკონომიკური ზრდა მოიტანს ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას და სოციალურ თანასწორობას. კიდევ უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებასა და ინოვაციებზე. საქართველო არ არის მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. ამიტომ მთელი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენს უმთავრეს რესურსს — ჩვენს ხალხს. მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა და მეწარმეობის ხელშეწყობა მთავრობის მთავარი პრიორიტეტებია. მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს კერძო სექტორის თავისუფლებას და, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებასთან ერთად, სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალური მოდელი საშუალებას მოგვცემს, რაც შეიძლება სწრაფად განვითარდეს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავებისა და განხილვის პროცესში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, სამოქალაქო სექტორისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ფორუმის მონაწილეებს წარმატებები უსურვა.

ფორუმი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ და ბრემენის უნივერსიტეტის პარტნიორობის ფარგლებში გაიმართა და მას დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრეზიდენტს პარლამენტში ხვალ ელიან

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტს ყოველწლიური მოხსენებით 3 თებერვალს, 14 საათზე მიმართავს.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ინფორმაციით, პრეზიდენტი პარლამენტარების წინაშე საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე წარსდგება და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას.

პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის ფორმატთან დაკავშირებით, კონსულტაციები გაიმართება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ეკა ბესელიას განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკური გუნდი შეიკრიბება

„როგორი იქნება ფორმატი და რა ფორმით წარიმართება დებატები, ეს არის პოლიტიკური შეთანხმების ნაწილი და ჩვენ ვიწყებთ ამ თემაზე კონსულტაციებს. ბიუროს სხდომისთვის იქნება ცნობილი ჩვენი პოლიტიკური გუნდის პოზიცია, რა ფორმატში შეიძლება დავინახოთ ეს პროცესი. უმჯობესია, იყოს პოლიტიკური გამოსვლები. ასევე უნდა იყოს შეფასებებიც ანგარიშთან დაკავშირებით“, — განაცხადა დეპუტატმა.

ცნობისათვის, პარლამენტის რეგლამენტი პრეზიდენტის მოსმენის ორგვარ ფორმატს ითვალისწინებს. პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ შეიძლება გამოცხადდეს შესვენება არა უმეტეს ორი საათისა. შესვენების შემდეგ კი, ფრაქციების თავმჯდომარეთა გამოსვლები იმართება, რომელთა ხანგრძლივობას პარლამენტის ბიურო ადგენს, ან შეიძლება გაიმართოს დებატები.

რაც შეეხება დებატებს, ეს არის ფორმატი, როცა გამოსვლის შესაძლებლობა ყველა საპარლამენტო სუბიექტს ეძლევა. კერძოდ, უმრავლესობასა და უმცირესობას 45-45 წუთი ეთმობა. 15-15 წუთი ეძლევა ფრაქციასა და პარლამენტის თავმჯდომარეს (სხდომის თავმჯდომარეს), ვიცე-სპიკერებს — 10 წუთი, პარლამენტის წევრს, რომელიც არც ერთ ფრაქციაში გაერთიანებული არ არის — 5 წუთი.

დებატების შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნას რეზოლუცია.

მშვიდობისმყოფელებზე შეტევა იყო ორივე — როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან

განცხადება აღნიშნულის შესახებ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ „მოამბესთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში გააკეთა.

მისი განმარტებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შედის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, ომის დანაშაული და გენოციდი.

„ოფისი გამოიძიებს, მაგალითად, სამშვიდობოების მკვლელობის ფაქტებს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მშვიდობისმყოფელებზე შეტევა იყო ორივე — როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. ამის შესახებ ვაპირებთ, რომ ინფორმაცია მოვიძიოთ“, — განაცხადა ბენსუდამ.

ფატუ ბენსუდა აცხადებს, რომ ჰააგის სასამართლო ქვეყნებს შორის დავის გარკვევით არ არის დაკავებული და მისი მიზანი დანაშაულზე პასუხისმგებელი ინდივიდუალური პირების გამოვლენაა.

მან ასევე განმარტა, რომ როცა იქნება საკმარისი მტკიცებულებები ამა თუ იმ პირის მიერ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ, ის დაპატიმრების ორდერის გაცემას მოითხოვს.

ბენსუდამ ინტერვიუში დეტალურად განმარტა სხვა პროცედურებიც:

„პირველი, რაც მჭირდება, ეს ჩემი გუნდია. აქ უმთავრესი, გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია, რომ ჩემი ოფისი იწყებს გამოძიებას და სხვა არავინ. ვერავინ გააკეთებს ამას ჩვენს ნაცვლად, ან ჩვენთვის. უნდა გააკეთოს გუნდმა, რომელსაც მე შევქმნი. დავიწყებთ ძებნას და უპირატესობა მიენიჭება იმ ადამიანებს, რომელთაც შეხება ჰქონიათ, ანალიზში იყვნენ ჩართულები. როდესაც გვეყოლება გუნდი, განვსაზღვრავთ, ვინ ჩაატარებს გამოძიებას. ასევე დავგეგმავთ ვიზიტებს ყველგან, სადაც ჩავთვლით საჭიროდ. რა თქმა უნდა, ეს ეხება საქართველოს, მის ნაწილს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას. ამის შემდეგ გავაგრძელებთ გამოძიებას. გვექნება გეგმა, შევადგენთ სტრატეგიას. ეს სამუშაო, მასალები და მთელი პროცესი არის სრულიად კონფიდენციალური. შევაგროვებთ, გამოვიძიებთ და მოვა დრო, როდესაც ჩვენ მოვახდენთ შეფასებას. მე მივიღებ გადაწყვეტილებას, მოვიდა თუ არა დრო, მივმართო ისევ მოსამართლეებს, მოვითხოვო დაპატიმრების ორდერის გაცემა ინდივიდუალური პირების მიმართ“.

სამწუხარო იქნებოდა იმის გაგება, რომ რამდენიმე ჯარისკაცი დამნაშავეა

ცენტრალურ აფრიკაში სხვა ქვეყნების სამშვიდობოებთან ერთად სექსუალურ ძალადობაში ქართველი სამხედროების სავარაუდო მონაწილეობაზე კომენტარი გააკეთა საქართველოში შეერთებული შტატების ელჩმა.

იან კელის თქმით, მომხდარი არ ამცირებს იმ პატივისცემას, რაც შეერთებულ შტატებს ქართველი სამხედროების მიმართ აქვს მათი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში შეტანილი წვლილის გამო. იან კელიმ ასევე დადებითად შეაფასა თავდაცვის მინისტრის განცხადება, გამოძიების შემდეგ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის თაობაზე.

„მოხარული ვარ, რომ თავდაცვის მინისტრი გამოვიდა და თქვა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მომხდარის ზუსტი გამოძიება და დამნაშავეებისთვის პასუხისგება. როგორც პარასკევს ჩემ განცხადებაში ვთქვი, დიდ პატივს ვცემთ ქართველ სამხედროებს და მათ წვლილს საერთაშორისო მშვიდობაში. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო იქნებოდა იმის გაგება, რომ რამდენიმე ჯარისკაცი დამნაშავეა, თუმცა ეს არ ამცირებს იმ უზარმაზარ პატივისცემას, რომელიც ქართველი ჯარისკაცების მიმართ ჩვენ გვაქვს,“ — განაცხადა იან კელიმ.

დავით უსუფაშვილმა, მაგრად ვზივარ და ბიძგების არ მეშინიაო

პარლამენტის **თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ რესპუბლიკური პარტია მმართველ კოალიციაში რჩება.**

„იმ დღიდან, კოალიციაში შევედით თუ არა პარლამენტში ყველა ერთად, მეორე დღესვე დაიწყო ამბები. აი, ნახავთ, რომ რესპუბლიკური პარტია 2 დღეში წავა სადმე — ამბობდნენ. საანძლეოები უნდა დამედო ყველა იმ პროგნოზის გამცემისთვის თუ ჟურნალისტისთვის, თუ ოპონენტისთვის.

მაგრად ვზივარ რა. ამ ბიძგებს რომ ვექვემდებარებოდეთ, მაშინ რატომ უნდა ვიჯდე იქ, სადაც ვზივარ. ბიძგების სურვილიც რო არ იყოს, მაშინ პოლიტიკა არ იქნებოდა. ეს არ არის კეთილშობილ ქალიშვილთა და ჭაბუკთა კრებული, სადაც, უიმე, თქვენი ჭირიმე, რამე არ გეტკინოთ და არ გაწყენინოთ. რა თქმა უნდა, ეს კონკურენციაა, ამ კონკურენციაში, ხან გიბიძგებენ, ხან გიკბენენ, ხან გიბწკენენ, ხან რაღაცა იქნება. მაგრამ ამის გამო ფატალისტური დასკვნების გაკეთება რომ მორჩა, დასრულდა, ვიღაცა მირბის, ასე არ არის“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

რა აქვს „გაზპრომთან“ საჩუმათო საქართველოს მთავრობას?!.

აი უკვე მერამდენე წელია, მიშნაცების ნალაყბევისა მარტო ხალხს კი არა, თავად ნაცებსაც აღარ სჯერათ, მაგრამ რაკი ერთხელ ჩაბერეს ტყუილების გუდასტვირს, დღემდე ხტუნვა-მალაყი ვეღარ შეუჩერებიათ. ამის დასტური გახლავთ რუსულ „გაზპრომთან“ დაკავშირებით ატეხილი ცრუგანგაშიც, თითქოს ჩვენმა უნიათო მთავრობამ თავის უტვინობითა და უსუსურობით საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა ლამის პუტინის ექსპანსიურ ინტერესებსა და ივანიშვილის მილიარდიანი ჯიბის გაუმაძღრობას გადააყოლა. ამას რომ ძაძანებენ, რატომღაც ავიწყდებათ იმავე „გაზპრომთან“ თავის დროზე ნაცუფროსობის ჩახუტების საამო პერიოდი, როცა ძვეყნის „ეკონომიკის მამა“ კახა ბენდუძიძე ამ „აკრძალული ხილის“ („გაზპრომის“) დაგემოვნებით იმდენად იყო ნასიამოვნები, რომ არა ამერიკის წინდახედულობა, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენიც (რაშიც რუსეთი ტრანზიტის საფასურს გვიხდის) რუსეთისავე საკუთრება იძნებოდა.

ვფიქრობ, ისეთი პოლიტიკური გუნდისთვის, როგორიც ქართველი ნაცები არიან, რაიმე მორალის კითხვა ზედმეტია, მაგრამ მაინც ვიტყვი. არ შეიძლება ზრუნავდე შენი პოლიტიკური გუნდის იმიჯის გასამყარებლად ხალხის, სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესების ხარჯზე. არ შეიძლება ხალხი შეცდომაში შეგყავდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შენი ვიწრო ინტერესების და რაღაც პოლიტიკური ხუშტურებისთვის გაქვს გათვლილი. ვერ ვიტყვი, რომ ამავე მორალით მოღვაწეობს დევანდელი ხელისუფლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსულ „გაზპრომთან“ დაწყებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, ყოველთვის ღიად და გასაგებად არ ლაპარაკობს (დღეს ერთს იტყვის, ხვალ მეორეს), რაც ხალხს საბაბს აძლევს, იეჭვიანოს, რომ მთავრობა მას რაღაცას უმალავს.

მაინც რას უმალავს მთავრობა საკუთარ ხალხსა და ძვეყანას, არ გაინტერესებთ? მაგრამ ვიდრე იმას გავარკვევდეთ, უმალავს თუ არა ხელისუფლება ხალხს სიმართლეს, ან რაზე ესაუბრება მთავრობა „გაზპრომს“ და რუსული გაზი საქართველოსთვის ნიშნავს თუ არა ენერგოდამოუკიდებლობის დაკარგვას, მოდით, გადავხედოთ ქვეყანაში შექმნილი ენერგობაზრის რეალობას და დასკვნები ამის მიხედვით გავაკეთოთ, და არა იმის მიხედვით, პოლიტიკურად ეს როგორ დივიდენდებს მოუტანს ნაცმოძრაობას, ან, გნებავთ „ქართულ ოცნებას“.

დამეთანხმებით, საბაზრო ეკონომიკას, საერთოდ, ბიზნესს თამაშის საკუთარი წესები აქვს და ამა თუ იმ პარტიის პოლიტინტერესებს ნაკლებად ექვემდებარება. **მონოპოლისტის თამაშის წესები არის იმდაგვარი, რომ ვინც არ უნდა იყოს ის, გნებავთ, ჩვენდამი უაღრესად კეთილგანწყობილი მეზობელი აზერბაიჯანი, ცდილობს მაქსიმალურად ისარგებლოს ხელსაყრელი პოზიციით და თავს საკუთარი ინტერესები მოგვახვიოს**. სულ სხვა საქმეა, როცა ბაზარზე რამდენიმე მომწოდებელია და არის შანსი იმისა, რომ ფასი ამა თუ იმ პროდუქტზე (ამ შემთხვევაში გაზზე) კონკურენციამ დაარეგულიროს.

რაც უნდა მალოს მთავრობამ სიმართლე, ფაქტი ის არის, რომ დღესდღეობით ქვეყნის კომერციულ სეგმენტში შენარჩუნდა ძალიან მაღალი ფასი გაზზე, რაც არ ასახავს საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. როდესაც იქ ერთი ბარელი ნავთობის ფასი იყო 110 დოლარი და მასზე მიბმული გაზის ფასი — 450 დოლარი, ეს გასაგები იყო, მაგრამ როდესაც ნავთობის ფასი ჩამოსცილდა 30 დოლარს, როგორ შეიძლება გაზზე ფასი ისევ ძველებურად ძვირი დარჩეს?

თქვენ წარმოიდგინეთ, დარჩა. **როგორც ექსპერტები ადასტურებენ, გაზგასამართ სადგურებზე, სადაც მოხმარება ძალიან გაიზარდა იმიტომ, რომ მოსახლეობამ ავტომობილები მასობრივად გადაიყვანა გაზზე, იქ გაზის ფასი არის 350 დოლარი. ეს გაუგონარი ფასია**. დღეს რუსეთი უკრაინას სთავაზობს გაზს 250 დოლარად და უკრაინა უარს ამბობს იმიტომ, რომ ეძვირება. ამიტომაც ჩვენში კარგახანია მიმდინარეობს მოლაპარაკება „სოკართან“ გაზის ფასის თაობაზე. ენერგეტიკის სამინისტრო, ბუნებრივია, ცდილობს კომერციული პარტნიორები აზერბაიჯანიდან გარკვეულ დათმობაზე წამოიყვანოს იმისათვის, რომ კომერციული სეგმენტისთვის ფასები მისაღები გახდეს. ეს ბაზარია და, რა თქმა უნდა, მისი მონაწილე ყველა მხარე საკუთარი ინტერესების წამოსაწევად იღვწის.

ასეთ დროს მთავრობამ ოპოზიციისა და მონოპოლისტის არწყენაზე კი არა, საწვავის ალტერნატიული წყაროს მოძიებაზე უნდა იფიქროს. ამის მიუხედავად, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, როცა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებზე მიდიოდა, მონოპოლისტის, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანული „სოკარის“ მისამართით რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს, უბრალოდ განაცხადა, ზამთრობით გაზის დეფიციტი რომ აღმოვფხვრათ, კომერციული სექტორისთვის რუსეთიდან საწვავის ალტერნატიული ულუფის შემოტანას ვგეგმავთო. სწორედ ამაზე ატეხეს უსაქმურობისგან მთქნარებაატეხილმა ნაცებმა გნიასი და აურზაური: არიქა, ქვეყანა გველუპება, ჩვენს უქნარა მთავრობას სურს ისევ ძველი მტერი, რუსული „გაზპრომი“ დაგვასვას თავზე, მაშინ როცა ჩვენი მეგობარი აზერბაიჯანი საწვავის თავზესაყრელ ოდენობას გვთავაზობსო.

ასეთ დროს საზოგადოება მოვალეა, მხარში ამოუდგეს ხელისუფლებას და არა სულგაყიდულ ნაციონალებს, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე რუსეთის, „გაზპრომის“ და პუტინის აგრესია ელანდებათ.

რას ქაქანებენ ნაცები ერთია, მაგრამ მეორეა მწარე რეალობა, რომელსაც მიშნაცების სისულელეებით ვერ დავაპურებთ. ფაქტია, რომ 2015 წელს გაზზე მოთხოვნა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა და წელს კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ ისმის კითხვა: დეფიციტის შესავსებად რატომ უნდა წავიდეთ მაინც და მაინც რუსეთში და არა მეზობელ აზერბაიჯანში, რომელიც მეგობრულად გარობას ვასრულებთო. კი მაგრამ, იტყვით თქვენ, თუ გაზი თავადაც არ ჰყოფნით, პირობას როგორღა ასრულებენო? **კი, რასაკვირველია, ისინი შეასრულებენ ხელშეკრულების პირობებს, თუ გაზს იყიდიან რუსეთისგან იაფად და ჩვენ მოგვყიდიან ძვირად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ რა გვირჩევნია, გაზი ვიყიდოთ პირდაპირ მომწოდებლისგან („გაზპრომისგან“) იაფად, თუ ვიყიდოთ ძვირად გადამყიდველისგან?!**

ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, ნაცები დუმილს ამჯობინებენ, მარამ ენერგეტიკის მინისტრს იმას ვერ პატიობენ, „გაზპრომთან“ მოლაპარაკება ამათთან შეუთანხმებლად რომ გარისკა. ეგ თუ მართალი კაცი იყო, რატომ გაგვეპარა და რა საკითხებზე ბჭობდნენ, რატომ არ გაასაჯაროვაო. არადა, გასაგებად ითქვა, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს მოწვდილი ხელით გველოდება?

საქმე ის არის, რომ როგორც ჩვენში, ასევე აზერბაიჯანში გაზის მოხმარების პიკი არის ზამთარში. როცა ჩვენ ბევრი გაზი გვჭირდება, სწორედ იმ დროს მათაც ბევრი სჭირდებათ, გაზის მოპოვება კი არის ლიმიტირებული და მის მოცულობას ქართველი ნაცების პრეტენზიები ვერანაირად ვერ გაზრდის. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანს გაზი ზაფხულში კი ჭარბად აქვს, მაგრამ ზამთარში თავადაც დეფიციტს განიცდის და მის დასაბალანსებლად, იძულებულია, გაზი რუსეთისგან შეიძინოს. აი, ამ შემოდგომასაც, აზერბაიჯანმა საწვავის დანაკლისი „გაზპრომიდან“ ნაყიდი 2 მილიარდი კუბმეტრი გაზით შეივსო(!).

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გაუგებარი ის არის, რასაც „სოკარის“ წარმომადგენლები აცხადებენ: ჩვენ პირმართალნი ვართ, საქართველოსთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობებს ასრულებენ, ეს ალბათ ასეა, ოღონდ ეს ერთ-ერთ ფაქტორია, ეს ერთ-ერთ ფაქტორია, ეს ერთ-ერთ ფაქტორია,

მაორანი ბანკებისა და ლარის გაუფასურების შესაჩერებლად!

ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებას დიდი ეკონომისტობა და ფინანსისტობა არ სჭირდება: ყველანი აშკარად ვხედავთ, რომ ირგვლივ სულ უფრო მზარდი სიდუხჭირეა და საქართველოს ეკონომიკა კი უფსკრულისკენ მიექანება!

დოლარის კურსი ისტორიული მაქსიმუმზეა და ეს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა კატასტროფულად დოლარიზებულია და ეროვნული ვალუტისაგან სულ უფრო მეტად იცლება!

დოლარი საქართველოში 2014 წლის ბოლოდან (ნოემბრიდან) 1, 73-დან 2,5 ლარამდე, 45%-ით გაძვირდა, ხოლო ეკონომიკის დოლარიზაციის მაჩვენებელმა 70%-ს მიაღწია!

ეკონომისტები და ფინანსისტების შექმნილ მდგომარეობას კატასტროფულს უწოდებენ: „დოლარიზაციის კოეფიციენტის იდეალური მაჩვენებელი დაახლოებით 25%-ია, თითქმის ყველა ქვეყანაში ასეა. 70% - ეს არის კატასტროფა! როცა ქვეყანაში ასეთი მაღალი კოეფიციენტია, ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი საერთოდ არაფერს აკეთებს. ვერ გაიგებ, ვისი ეროვნული ბანკია ის – ამერიკის ფედერალური სისტემის გაგრძელებაა საქართველოში თუ საქართველოს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმდევარი ეროვნული ბანკი?

...საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შემოსავლები ლარში აქვს. დოლარიზაცია და ლარის გაუფასურება მათ დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობას უკიდურესობამდე ამძიმებს. ხალხი დღითი დღე მეტად ღარიბდება, ხოლო ქვეყნის მთავრობა ხელს საგარეო ეკონომიკური ფაქტორებისაკენ იშვერს და ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერი იღონა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის! ტყუილია, აშკარა ტყუილი!

ცხადია, საერთაშორისო ფონი მძიმეა, მაგრამ გაცილებით უფრო მძიმეა ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობა და ეს სწორედ ხელისუფლების პასუხისმგებლობაა!

თუკი თვალს გადაავლებთ წლის ბოლოს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს, იოლად დარწმუნდებით, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი არ გაგვაჩნია და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გაღარიბების პროცესი კვლავაც გაგრძელდება!

ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი საბუთია საქართველოს საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის ბალანსი. საქსტატის 2015 წლის წინასწარი მონაცემებით უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 5, 521 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მართალია, ეს ოდნავ უფრო მცირეა 2014 წელთან შედარებით (შესაბამისად – 5, 773 მლრდ. აშშ დოლარი), მაგრამ აბსოლუტური სიდიდით 1,54-ჯერ მეტია, ვიდრე 2010 წელს (შესაბამისად –3,58 მლრდ. აშშ დოლარი).

საგარეო ვაჭრობის მთლიან ბრუნვაში უარყოფითი სალდო პროცენტულ გამოსახულებაში წლიდან წლამდე 50%-ს ქვემოთ არ ჩამოდის, ეს მაჩვენებელი 2015 წელს 2014-თან შედარებით 50%-დან 56%-მდე გაუარესდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სამჯერ მეტს ყიდულობს უცხოეთში, ვიდრე ყიდის, ანუ საკუთარი გამომუშავებული სახსრებით არ ცხოვრობს! მაშ, რის ხარჯზე გაგვაქვს თავი? დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რაღა თქმა უნდა, უმთავრესად ვალების ხარჯზე!

საგარეო-ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა ვალებს სწრაფი ტემპით, „სტაბილურად“ აგროვებს და კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საშინაო თვალსაზრისითაც: ეროვნული ბანკის მონაცემებით 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეკონომიკის, ე.ი. ფიზიკური პირებისა და რეზიდენტი იურიდიული პირების ჯამური დავალიანება კომერციული ბანკების მიმართ შეადგენდა 15, 9 მლრდ. ლარს, ანუ 1 დეკემბრის კურსით (1 აშშ დოლარი – 2, 4052 ლარი) – 6, 61 მლრდ. აშშ დოლარს. ამ ჯამური ვალიდან ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები 5, 6 მლრდ. ლარია, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული – 10, 3 მლრდ. ლარი, ანუ – 4,28 მლრდ. აშშ დოლარს. განსაკუთრებით სავალალოა, რომ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები მთლიანი სესხების 64, 8%-ია!

როგორც ხელისუფლების, ასევე ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობაა მოსახლეობის გაყვლეფას, ისევე, როგორ ლარის დამცირებასა და შეურაცხყოფას, ბოლო მოუღოს! რადგან ამას არ აკეთებენ, ან უსუსურები, ანდაც უარესი: მოსახლეობის გაყვლეფაში ბანკების მოზიარეები არიან და ამ ბინძურ საქმეში თავიანთი წილი უდევთ! აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?!

2014 წლის იანვრიდან 2015 წლის 1 დეკემბრამდე ეკონომიკის დავალიანება ბანკების მიმართ 11, 22 მლრდ. ლარიდან 15, 9 მლრდ. ლარამდე, ანუ 4, 68 მლრდ. ლარით გაიზარდა. რასაკვირველია, ამგვარი ზრდა არა ეკონომიკის ჭარბად დაკრედიტებით, არამედ ძირითადად ლარის გაუფასურებით არის განპირობებული. ეს ხდება იმ პირობებში, როცა დაკრედიტება პოზიტიურ ეკონომიკურ შედეგებს სულაც არ განაპირობებს და წარმოების ზრდის სანაცვლოდ ეკონომიკა ოდენ მომხმარების ხარჯზე „იზრდება“. საბოლოო ჯამში კი ქვეყანა მხოლოდ საგარეო და საშინაო ვალებს აგროვებს!

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,315 მლრდ. აშშ დოლარს, რაც შარშანდელთან შედარებით (შესაბამისად – 4, 2 მლრდ. აშშ დოლარი) 115 მლნ. აშშ დოლარით მეტია, ხოლო 2012 წელთან შედარებით (შესაბამისად -3, 997 მლრდ. აშშ დოლარი) საგარეო ვალი 318 მლნ. აშშ დოლრით გაიზარდა.

მომხმარებლური ვაი-ეკონომიკა ვალების ხარჯზე ვითომ იზრდება, სახელმწიფო ვალს ვალი ემატება, ხოლო მოსახლეობა განსაკუთრებით სავალალო დღეშია. აი, რას წერდა ინტერნეტ-გამოცემა:

„კრედიტ-ინფოს ინფორმაციით, კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხის მოცულობა 4 თვეში 12,4%-ით გაიზარდა. მკვეთრად მოიმატა თავად მსესხებელთა რაოდენობამაც. „კრედიტ-ინფოს“ მონაცემებით, მათ ბაზაში საკრედიტო ჩანაწერების რაოდენობა 3 თვეში 500 ათასით გაიზარდა და უკვე 9 მლნ-ს შეადგენს. საკრედიტო დავალიანება კი დაახლოებით 2 მლნ ადამიანს აქვს. ეს ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის სესხი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 54%-ს აქვს და თანაც თითოს 2-3 მაინც.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად მოიმატა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობამაც, რომელიც 29,4%-თაა გაზრდილი. სებ-ის მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვარს ვადაგადაცილებული სესხი მთლიანად 252 654 000 ლარს შეადგენდა, 2015 წლის 1 აპრილს კი 325 631 000-მდე გაიზარდა. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საბანკო ვალდებულებების გასტუმრება უჭირს, თუმცა მათი ნაწილი გამოსავალს ისევ სესხის აღებაში ხედავს.

საფინანსო სექტორი მუშაობს საკუთარი თავის გამდიდრებაზე და არა ეკონომიკაზე. სხვადასხვა ტიპის სესხით, რომელიც გაცემულია მოსახლეობაზე, აფინანსებს იმპორტს და არა ადგილობრივ ეკონომიკას“, – აცხადებს საბანკო-საფინანსო საკითხების სპეციალისტი ლია ელიავა“.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკა, თავად სახელმწიფო და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, საქართველოს მოსახლეობა, ყელამდე ვალშია, ხოლო ამ დროს, როგორც ირკვევა კომერციული ბანკები, თურმე, არნახულ ზე-მოგებას იღებენ!

აი, რას წერს ინტერნეტ-გამოცემა bpn – ჯერ კიდევ 2015 წლის 28 ოქტომბერს (მას შემდგომ ლარის კურსი ისტორიულ მინიმუმზე დაეცა და ბანკების ზემოგება 400 მლნ. ლარამდე გაიზარდა!):

ერთ თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 85,3 მილიონი ლარით გაიზარდა. გარდა ამისა, მკვეთრად იმატა პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა. საბანკო სფეროს სპეციალისტთა აზრით, ბანკების რეკორდული მოგება პირდაპირ უკავშირდება ლარის გაუფასურებას.

აშკარაა, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის, ლარის გაუფაურებისა და ვალების ზრდის პირობებში, თუ, ცხადია, არ ჩავთვლით დანამატებზე დახარბებულ სახელისუფლებო ჩინოვნიკებს, მხოლოდ ბანკები, ბანკირები და მათთან დაკავშირებული კერძო მევახშეები მდიდრდებიან!

თვალსაჩინოა, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიკის დოლარიზაცია და ეროვნული ვალუტის გაუფასურების, შესაბამისად – ეკონომიკისა და მოსახლეობის ბანკების მიმართ დავალიანების ზრდის ტემპი, მით უფრო მეტია ბანკების ზე-მოგება!

თუკი ფული ეკონომიკის სისხლია, ხოლო დღევანდელი ვაი-ეკონომიკა არა შემოსავლებისა და წარმოების, არამედ ოდენ ვალებისა და მოხმარების ზრდას ემსახურება, ბანკები სწორედაც რომ წურბელის როლს თამაშობენ! რეალური ეკონომიკა სულს ღაფავს, სისხლისგან იცლება და სწორედ ამ სისხლის წოვით სუძდებიან და იბერებიან ბანკები!

განსაკუთრებით საშიშია, რომ დოლარიზაცია ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს. ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძველთა საფუძველი ლარის, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალების, სტატუსია! ეს სტატუსი სამართლებრივად გარანტირებულია (იხ. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლი), მაგრამ თავად ეროვნული ბანკიც და ქვეყნის ხელსუფლებაც თითს თითზე არ აკარებს, რომ, უწინარესად, სწორედაც იქ, სადაც ფული ბრუნავს და ინახება, ე.ი. საბანკო სექტორში იქნეს დაცული ეროვნული ვალუტის ეს სტატუსი!

სუვერენულ სახელმწიფოში, რომელსაც საკუთარი ფულის ერთეული გააჩნია, განა შესაძლებელი უნდა იყოს უცხოურ ვალუტაში ბანკებიდან სესხის ასე განუკითხავად აღება?! რასაკვირველია, არა! ბანკმა სესხი, თუ იგი საგარეო ეკონომიკური მიზნებისათვის არ არის განკუთვნილი, აუცილებლად მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში უნდა გასცეს, ხოლო თუ კლიენტს მაინცადამაინც სხვა ვალუტა სჭირდება, მაგ. აშშ დოლარი, კეთილი ინებოს და ეს დოლარი ეროვნული ვალუტით შეიძინოს!

ბუნებრივია, როგორც სესხების, ასევე მთლიანად ეკონომიკის ამგვარი კატასტროფული დოლარიზაცია ზრდის ეკონომიკური აგენტების ვალდებულებებს უცხოურ ვალუტაში, ე.ი. უცხოურ ვალუტაზე, განსაკუთრებით კი დოლარზე მოთხოვნას და უარყოფით საგარეო ბალანსთან ერთად ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია!

მანკიერი წრე შეკრულია: რაც მეტადაა ეკონომიკა დოლარიზებული, მით მეტად მცირდება ლარისადმი ნდობა და იგი უფასურდება, ხოლო რაც მეტად უფასურდება ლარი, მით უფრო მატულობს დოლარიზაცია!

ამ მანკიერ ვითარებაში ბანკები სწორედაც საბედისწერო როლს თამაშობენ: ისინი განაპირობებენ ეკონომიკის ჭარბ დოლარიზაციას, ლარის გაუფასურებასა და რეალურად ეკონომიკური სუვერენიტეტის ძირის გამოთხრაზე მუშაობენ. როგორც ირკვევა, ეს მანკიერი წრე მათ ზე-მოგებას აძლევს და ამიტომაც ბანკების ხელმძღვანელთა პირდაპირ ინტერესებშია!

მარტო გასულ წელს სესხების არნახული დოლარიზაციისა და ლარის გაუფასურების პირობებში ბანკებმა 400 მლნ-მდე ლარი (!) „გააკეთეს“ და როგორ გგონიათ, საიდან? ეს ხომ სწორედ ის 400 მლნ-ია, რაც მოსახლეობამ დოლარის 1,73-დან 2, 5 ლარამდე გაძვირების გამო იზარალა! რასაკვირველია, ბანკებმა 400 მლნ. სწორედაც კლიენტების ჯიბეებიდან ამოიღეს! რაიმე სხვა საფუძველი, თუ არა მოსახლეობის აშკა-

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთავრობაც და ეროვნული ბანკიც ლარის კურსის წინააღმდეგ მოქმედებენ!

ლარის კურსის კატასტროფულ ვარდნასა და მოსალოდნელ სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისზე პროფესორი დავით ასლანიშვილი გვესაუბრება.

— ბატონო დავით, დღეს მთელი საქართველო ლარის კურსის დაცემაზე საუბრობს. ზოგიერთი ამას მეზობელ ქვეყნებში, ზოგადად კი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით ხსნის. ხოლო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხელს მთავრობისკენ და ეროვნული ბანკისკენ იშვერს და აცხადებს, რომ მთავრობამ ვერაფერი გააკეთა ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის...

— რა თქმა უნდა, საგარეო და საშინაო ფაქტორების ერთობლიობა სავალუტო კურსზე მოქმედებს. ამ ეტაპზე, ლარის კურსზე რაც მოქმედებს, ეს არის ის, რომ ლარის მასა მიმოქცევაში გაზრდილი არ არის, აქ უფრო ნდობის ფაქტორის არქონასთან გვაქვს საქმე.

„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ და მთავრობამ ერთობლივად უნდა გადადგან ისეთი ნაბიჯები, რომ ლარს ნდობა დაუბრუნონ.

რას ნიშნავს ლარისთვის ნდობის დაბრუნება? ფულს გაცვლის, გადახდისა და დაგროვების ფუნქცია გააჩნია. მას ამ ეტაპზე დაგროვების ფუნქცია დაკარგული აქვს. გადახდის და გაცვლის საშუალება ლარს შენარჩუნებული აქვს და ეს უნდა გაძლიერდეს, ანუ, თუ გვინდა, რომ ლარის მიმართ ნდობა აღდგეს, ეს ფაქტორი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული და ლარის სხვა ვალუტით ჩანაცვლება არ მოხდეს.

ამ ეტაპზე მთავარია, როგორმე კურის სტაბილიზაციის მექანიზმები ამოქმედდეს. ეს იქნება ხარჯვით ნაწილში ფინანსთა სამინისტროს მხრიდან და მთავრობის მხრიდან, ხარჯების შემცირების პოლიტიკა.

ჩემი აზრით, ლარის სტაბილურობა ყველა ვარიანტში მოხდება, ყოველ შემთხვევაში სადღაც აპრილის ბოლოდან, როდესაც ამოქმედდება საგადასახადო რეჟიმი.

თუ ღრმად ჩავიხედავთ ლარის აგრეგატებში, ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთავრობაც და „ეროვნული ბანკიც“ ლარის კურსის წინააღმდეგ მოქმედებენ...

— ქართველ ექსპერტთა უმეტესობა ლარის კურსის გაუფასურებას საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემით ხსნის.

რამდენად სწორია ეს ფორმულირება, შეიძლება თუ არა ეროვნული ვალუტის კურსის მაქსიმალურ ნიშნულამდე დაცემა მხოლოდ ნავთობს გადავაბრალოთ?

— ესეც ერთ-ერთი ფაქტორია იმ ფაქტორებთან ერთად, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

ნავთობის ფასის დაცემა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფრო იაფად შეგვიძლია შევიძინოთ ელექტრომატარებლები, მაგრამ პრობლემაც ისაა, რომ სინამდვილეში ეს არ შეგვიძლია! შეძენით შევიძენდით მაშინ, თუ გვექნებოდა წარმოება, ანუ იაფად შეძენილის უცხოეთში ექსპორტს მოვახდენდით, რასაც ვერ ვახერხებთ. იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებშიც მათი ვალუტები უფრო დავარდნილია. ჩვენ რეალურად საექსპორტო პოტენციალი არ გაგვაჩნია.

— მაშინ, როცა მსოფლიოში ნავთობის ფასი მაქსიმალურ ნიშნულამდე დაეცა, საქართველოში ბენზინზე და ნავთობის სხვა პროდუქტებზე ფასი უმნიშვნელოდ შეიცვალა. რატომ?

ხომ არ უწყობს ხელს მთავრობა საქართველოში ბიზნესის კრიმინალიზაციას?

— ჩვენთან ნავთობპროდუქტების ფასი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ლარის კურსი ძალიან დავარდა, თორემ, თუ მოვახდენთ ლარის წინა კურსთან შედარებას, როდესაც იყო 1,7, რა თქმა უნდა, გაიაფებულია.

ესაუბრა
მედეა შელია

რა ძარცვა, ბანკების ამგვარ გასაოცარ ზე-მოგებას არ შეიძლება ჰქონოდა და არც გააჩნია!

კომერციული ბანკების ამგვარი „საქმიანობა“ ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის სრული უმოქმედობის გამო მათი მხრივ ფაქტიურად სანქცირებულია, ე.ი. დაკანონებულ, როგორც მოდურად იტყვიან — **„ლეგიტიმურ“ ყაჩაღობას წარმოადგენს!**

არადა, როგორც ხელისუფლების, ასევე ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობაა მოსახლეობის გაყვლეფას, ისევე, როგორ ლარის დამცირებასა და შეურაცხყოფას, ბოლო მოუღოს! რადგან ამას არ აკეთებენ, ან უსუსურები, ანდაც უარესი: მოსახლეობის გაყვლეფაში ბანკების მოზიარეები არიან და ამ ბინძურ საქმეში თავიანთი წილი უდევთ! აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?!

შეეძლოთ თუ არა ბანკების მიერ წარმოებული ყაჩაღობისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების შეჩერება და აღკვეთა? რასაკვირველია! არათუ შეეძლოთ, არამედ ვალდებულნიც იყვნენ, ეს დროულად გაეკეთებინათ! როგორ, რა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით?

ვიმეორებთ: უწინარესად, ლარის სტატუსის დასაცავად მათ უნდა აეკრძალათ ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში კრედიტის გაცემა, თუ ეს კრედიტი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მიზნით არ იქნებოდა გამოყენებული! გარდა ამისა, მკაცრად უნდა აღეკვეთათ უცხოური ვალუტის საგადასახადო საშუალებად გამოყენება. ამის მაგივრად მათ დაუშვეს, რომ სესხების სტრუქტურაში 65 % უცხოურ ვალუტას უჭირავს, ხოლო ლარი, როგორც საგადასახადო საშუალება ოდენ საკვების, პირველადი მოთხოვნილების საქონლისა და კომუნალური გადასახადებისათვის თუ გამოიყენება! სხვა მიზნებით — მაგ. ბიზნესის საწამოებლად, თუნდ ავტომანქანებისა ან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისათვის ქვეყანა ტოტალურად დოლარზეა გადასული! აღარაფერს ვამბობთ, რომ ლარს საერთოდაც დაკარგული აქვს დაგროვების საშუალებად გამოყენების ფუნქცია! ლარს არავინ შეინახავს, თუ შესანახად აქვს საქმე, უმალ დოლარს იყიდის!

ბანკის ყველა მოვალეს, რომელსაც ლარის გაუფასურებამდე აქვს დოლარი სესხად აღებული, კანონი აძლევს შესაძლებლობას უკან დაიბრუნოს კურსის ცვლილების გამო მიღებული ზარალი, რადგან კანონის თანახმად ვალი უნდა დაიფაროს არა იმ კურსით, რომელიც გადახდის დროსაა, არამედ იმ კურსით, რომელიც სესხის აღებისას არსებობდა!

მანკიერ წრეში მოუსავლეთისკენ მსრბოლავი ვაი-ეკონომიკის სულ უფრო მეტად მზარდი ნგრევის შესაჩერებლად, პირველ ყოვლისა, მადაზე მოსული ბანკების შეჩერებაა აუცილებელი! თუ გადამჭრელი ზომები არ იქნება მიღებული, ბანკები თავიანთი ზე-მოგების კიდევ უფრო გასაზრდელად კვლავაც გააგრძელებენ მოსახლეობის „ლეგიტიმურ“ ძარცვას და ლარის დამცირება-შეურაცხყოფასაც!

რა ვიღონოთ, როცა ხელისუფლებაცა და ეროვნული ბანკიც ხალხის წინააღმდეგია და კომერციული ბანკების მოკავშირე?!

მიუხედავად ყველაფრისა, ძალა მაინც ხალხშია! საქართველოს ორ მილიონამდე მოქალაქეს, თურმე, ბანკების დავალიანება აქვს და ამ ვალის 65% დოლარშია დასაბრუნებელი! ეს ორი მილიონი მოქალაქე თუ გაერთიანდა, მას წინ ვერც ბანკები და ვერც ხელისუფლება ვერ დაუდგება!

რაც მთავარია, ბანკების შესაჩერებლად ხალხის მხარესაა სამართლიანობაც და კანონიც! ის 400 მლნ. ლარი, რაც ბანკებმა ყოვლად უსაფუძვლოდ ჩვენი ჯიბეებიდან მარტო შარშან წაიღეს, უკან უნდა დაბრუნდეს!

როგორ?!

როგორ და — კანონის თანახმად და ხალხის ძალით!

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში შავით თეთრზე წერია:

„მუხლი 389. ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას

თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.“

ეს ნიშნავს, რომ ბანკის ყველა მოვალეს, რომელსაც ლარის გაუფასურებამდე აქვს დოლარი სესხად აღებული, კანონი აძლევს შესაძლებლობას უკან დაიბრუნოს კურსის ცვლილების გამო მიღებული ზარალი, რადგან კანონის თანახმად ვალი უნდა დაიფაროს არა იმ კურსით, რომელიც გადახდის დროსაა, არამედ იმ კურსით, რომელიც სესხის აღებისას არსებობდა!

სამწუხაროდ, კანონის ეს ნორმა ტოტალურად არის დარღვეული და ყველა სასესხო ხელშეკრულებაში სწორედ ამის საწინააღმდეგო გადახდის პირობა წერია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რა წერია ბანკთან დადებულ სასესხო ხელშეკრულებაში, კანონის ეს ნორმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ამოქმედდეს, რადგან სამართლის ძალით ბათილია ყველა ის ხელშეკრულება ან მისი ნაწილი, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება!

სკეპტიკოსები ამბობენ, რომ სკ-ის ამ ნორმის გამოყენება ბანკების წინააღმდეგ 1999 წელს (მაშინაც კატასტროფულად გაუფასურდა ლარი!) უშედეგოდ დამთავრდა, რადგან სასამართლომ ამ ნორმის საფუძველზე შეტანილი არც ერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

შესაძლოა, სასამართლო პრეცედენტი ხალხის სასარგებლოდ არ არის, მაგრამ სამართლისათვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ჩვენს ქვეყანაში სწორედ კანონს აქვს იურიდიული ძალა და არა სასამართლო პრეცედენტს!

თუ გახსოვთ, მოქალაქე ივანიშვილი თავის დროზე (მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო!) გვმოძღვრავდა — სესხის აღებისას კვალიფიციური მენეჯერი დაიქირავეთ, ის გირჩევთ ვალი რომელ ვალუტაში უნდა აიღოთ, წაგებული რომ არ დარჩეთო! რადგან კანონი გვიცავს, მაგრამ იგი ბანკების მიერ უხეშად ირღვევა, თურმე არა მენეჯერის რჩევა, არამედ უწინარესად სამართლის დაცვა გვჭირდება! მთავრობა კი ხალხს იმიტომ ყავს დაქირავებული, რომ სამართალი დაიცვას და აღასრულოს!

ვინც დაქირავებულია, ევალება და სამართალს მაინც ვერ ან არ იცავს, მაშინ მის დასაცავად ხალხმა ყველას, მათ შორის ხელისუფლებასაც და ბანკებსაც საკუთარი ძალა უნდა უჩვენოს, რათა კანონი აღსრულდეს!

სწორედ სამართალი და კანონი უნდა იყოს გაერთიანებული ხალხის ხელში ის მათრახი, რაც მადაზე მოსულ ბანკებს შეაჩერებს და მოსახლეობის ძარცვისგან ხელს ააღებინებს!

სამართალი და კანონი კი იმას მოითხოვს, რომ დოლარში გაცემული ყველა სესხი სესხის გაცემის მომენტში არსებული კურსით ლარში იქნეს გადაყვანილი, ხოლო ბანკების მიერ ლარის გაუფასურების გამო ხალხისგან ზედმეტად წაღებული ფული უკან დაბრუნდეს, ან ვალის ძირი თანხის დაფარვაში გაიქვითოს!

ეს უნდა გახდეს კანონით შეირაღებული გაერთიანებული ხალხის მოთხოვნა ბანკების წინააღმდეგ!

თუ ბანკებისგან დაზარალებული მოვალეები გავერთიანდებით, თვითორგანიზებას შევძლებთ და კანონის საფუძველზე მოვითხოვთ უკანონოდ წართმეულის დაბრუნებას, საქმე შეიძლება სასამართლო დავამდე არც მივიდეს, ისე შევაჩეროთ მადაზე მოსული გაყაჩაღებული ბანკებიც, დამცირებულ ლარსაც ამით ვუშველოთ და მეოცნებე ხელისუფლებასაც ჭკუა ვასწავლოთ, რომ ხალხის ღირსებასა და ინტერესებს სათანადო პატივი სცეს!

მთავარია, ხალხმა ვირწმუნოთ ჩვენი ძალა და ის, რომ გასამათრახებელი ყაჩაღების უებარი წამალი — ე.ი. თავად მათრახი, სამართლიანობისა და კანონის სახით, ჩვენს ხელთაა!

დავით ზარდიაშვილი,
ექსპერტი, ანალიტიკოსი.

ეს წერილი უცილობლად მოითხოვს საქართველოში მოქმედი თითოეული ბანკის ხელმძღვანელთა ყურადღებას. ეგების იკადროთ და თქვენი მოსაზრება გაგვიზიაროთ გაღატაკებული ხალხის, დამცირებული ლარის და ზოგადად, ქართული ეკონომიკის გადასარჩენად!

საერთოდ, გადავრჩებით კი?!

უძრავი ქონების ბაზარს გამყინვარება ელის

2016 წელს უძრავი ქონების ბაზარს სახარბიელო პერსპექტივა არ ელის. თუ კურსი 2.5-ის ნიშნულზე დაბალანსდა, ბინებზე მოთხოვნა უფრო დაიკლებს და სამშენებლო სექტორი იძულებული გახდება ბინები კიდევ უფრო გააიაფოს.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებმა უძრავი ქონების ბაზარზე მტკივნეულად იმოქმედა. სამშენებლო კომპანიებში აცხადებენ, რომ სავალუტო კრიზისის გამო, სექტორში სტაგნაციაა. კომპანია „მონოლით ჯგუფის“ დამფუძნებელი **ზვიად დარახველიძე** ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, ბინების ფასი დაიკლებს.

„თუ დოლარი ამ ნიშნულზე, ანუ 2,5-ზე გაჩერდება, გაიაფების ტენდენცია გაგრძელდება. თუ პროდუქციის გაყიდვა გინდა, ფასები უნდა შეამცირო, სხვა გზა არ გრჩება. სწორედ ამიტომ, ბოლო თვეებში უძრავი ქონების ფასი აშკარად შემცირდა და ალბათ, კიდევ უფრო შემცირდება. თუ დოლარის კურსი ამ ნიშნულზე გაჩერდება, ან უფრო გაძვირდება, უფრო დიდი სტაგნაცია გვექნება. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის 75-80% პროცენტი ბინებს იპოთეკური სესხით ყიდულობს. ლარის გაუფასურების გამო იპოთეკარებს დანახარჯი მოემატათ.

დღეს პირდაპირი ყიდვის წესით ბინას მხოლოდ 10 ყიდულობს, დანარჩენი ბანკებზეა დამოკიდებული. თუ დოლარი 2,5 ნიშნულზე გაჩერდა, სამშენებლო სექტორი იძულებული გახდება ბინები კიდევ უფრო გააიაფოს“, — ამბობს დარახველიძე.

„ორი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ მათი ბინების ფასებზე დოლარის გაძვირება ჯერ არ ასახულა, ბინების ფასი არ შემცირებულა, თუმცა, ის რაოდენობა არ იყიდება, რამდენიც ბუმის დროს ეყიდებოდათ.

უძრავი ქონების სააგენტოების ნაწილში აცხადებენ, რომ 2015 წელს რეალიზაციის შემცირება მიწოდების ზრდით და მოთხოვნის კლებით არის გამოწვეული. გარდა ამისა, მათ ბინების ჩაწოლის მიზეზად მსოფლიო კრიზისი მოიყვანეს.

„მოთხოვნა შემცირდა. ამდენი ახალი მშენებლობებია. რაოდენობით ბინები უფრო მეტია, ვიდრე მყიდველი, შესაბამისად, ამიტომ შემცირდა რეალიზაცია. მყიდველი არ არის იმდენი, რამდენიც შენდება. ლარის გაუფასურება გაყიდვების შემცირებასთან არაფერ შუაშია. კრიზისი არის ყველგან. თანხები უცხოეთიდანაც შემოდიოდა. პლუს ბანკების სესხი, ალბათ, ლარის გამო სესხიც უფრო რთული ასაღებია ან ხელფასიდან გამომდინარე, ეს სულ სხვა მხარეა“, — აცხადებს უძრავი ქონების სააგენტო „გალაგას“ წარმომადგენელი **ირინა ჩეკავინა.**

იგი ამბობს, რომ თავისუფალი ფული ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. მომხმარებელთა ნაწილი, ბინას ბანკის სესხით ყიდულობდა. **„ზოგადად მსოფლიო კრიზისია და პრობლემა მხოლოდ საქართველოდან არ გამომდინარეობს. ძალიან ბევრი მოდიოდა, იყვნენ ევროპიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან, ახლაც რუსები ჩამოვიდნენ. 2016 წელს შემცირდება რეალიზაცია, იკლებს ბინებზე ფასიც, რადგან ღირებულების კლებას მოთხოვნის შემცირება იწვევს. პრინციპში, ჩემი აზრით, გაბერილიც იყო ფასები“,** — განაცხადა ჩეკავინამ.

სამშენებლო სექტორში სტაგნაციის ნიშნებს ხედავს დეველოპერული კომპანია „აიჯიეს ჯგუფის“ ფინანსური მენეჯერი ექსპერტი **შოთა გუჯაბიძეც.**

„სტაგნაცია მართლაც შეიმჩნევა და ამ პროცესზე ვალუტის კურსის ვარდნამ დიდი გავლენა იქონია. საერთოდ, ჩვენს ბაზარს ახასიათებს მდგრადობა მსგავსი შოკის მიმართ. მაგალითად: 2014 წელს ლარის კურსი დაეცა დაახლოებით 1,72-დან 1,86-მდე, მაგრამ ამ პერიოდში უძრავი ქონების ბაზარზე ზრდა ინერციით, მაგრამ მაინც გაგრძელდა.

2015 წელს ლარი 1,88-დან 2,45-მდე დაეცა. ბაზარმა ასეთ მასშტაბურ დატვირთვას ვეღარ გაუძლო და დოლარის გაძვირებას ფასების ვარდნაც მოჰყვა. ამ ეტაპზე ფასები ძალიან დავარდნილია და სიტუაციის შეცვლას ჯერჯერობით არც უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ მიმდინარე წელი არჩევნების წელია და სანამ არჩევნების შედეგები ცნობილი არ გახდება, არც ეკონომიკური სიტუაციის დაბალანსებაა მოსალოდნელი და არც უძრავი ქონების ბაზრის“, — აღნიშნა გუჯაბიძემ „ბიპიენთან“ საუბრისას.

„გალთ ენდ თაგართის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ გაჩეჩილაძე** ადასტურებს, რომ მშენებლობის ბაზარზე მიწოდება შენელებულია და შესაძლოა, ეს პროცესი კიდევ გაგრძელდეს. მისი თქმით, დღეს დეველოპერების დიდ ნაწილს საკუთარი კაპიტალი აქვს, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიების მხრიდან ბინების მოშორების ტენდენცია დაიწყოს.

ბექა დანელია

როცა გამყიდველიც ზარალობს და მყიდველიც

სავალუტო კრიზისის გამო ცალკე ფარმაცევტები ზარალობენ და ცალკე მომხმარებლები. მედიკამენტების გაძვირება უკვე მასობრივი პრობლემაა და როგორც ჩანს, აქედან გამოსავალის მოძებნა წარმოუდგენლად ძნელია. თურმე ეს საკითხი მხოლოდ მომხმარებლების პრობლემა არ ყოფილა. სავალუტო და საფასო არასტაბილურობა ფარმაცევტულ კომპანიებსაც დიდ პრობლემას უქმნის და ზოგიერთი მათგანი უკვე ფინანსურ ჭაობში ჩაეფლო.

ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ გამოწვევებზე, კომპანიების გაკოტრების საფრთხეებზე და რთული მდგომარეობიდან ოპტიმალურ გამოსავალზე პარლამენტის წევრმა და „პსპ“-ს დამფუძნებელმა კახა ოქრიაშვილმა გააკეთა განცხადება.

სად არის და ვინ მოძებნის გამოსავალს?

ფინანსური საფრთხის წინაშე ამ დროისთვის „ჯპს“-ის შვილობილი „სითი ფარმაა“, რომლის დირექტორი და მთავარი აქციონერი დავით კილაძე აცხადებს, რომ ქსელი ტრანსფორმაციას განიცდის, თუმცა, რა მიმართულებით წავა პროცესი, ეს ჯერ ცნობილი არ არის.

კახა ოქრიაშვილი კი ბაზრის სხვა მოთამაშეების გაკოტრებასაც არ გამორიცხავს. მისი ინფორმაციით, „პსპ“-ში“ ამ დროისთვის კრიზისმენეჯმენტის გეგმა მუშავდება მედიკამენტებზე არსებული ფასების შენარჩუნების მიზნით. ოქრიაშვილი აღნიშნავს, რომ საქმეს ევროს ნაკლებად მკვეთრი გაუფასურება შველის, რადგანაც მედიკამენტები ძირითადად ევროზონიდან შემოდის. მისივე ინფორმაციით, მუშაობა მიმდინარეობს შედარებით ნაკლებად ცნობილი განვითარებადი კომპანიების 100-150 დასახელების მედიკამენტის შემოტანაზეც.

სანამ ფარმაცევტები საკუთარი ბიზნესის გადარჩენას ცდილობენ, მოსახლეობა მედიკამენტების მუდმივად მზარდი ფასების გამო ზარალდება. წამლები საგრძნობლად გაძვირდა, რაც მძიმე ტვირთია განსაკუთრებით სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის.

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“, წარმომადგენელი თორნიკე რაზმაძე ამბობს, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ზოგადად, მონოპოლიური მდგომარეობაა.

„წლების განმავლობაში ტენდენცია შეინიშნება, რომ ფასები სხვადასხვა საოფთიაქო ქსელში კონკურენტულად კი არა, ანალოგიურად იცვლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჯანსაღ კონკურენციას ბაზარზე რაც შეიძლება მეტი ახალი მოთამაშის შემოსვლამ უნდა შეუწყოს ხელი. მაგალითად, თუ „ჰუმანითი ჯორჯია“ მართლაც სანდო და ხარისხიან ჯენერიკებს შემოიტანს შედარებით დაბალ ფასად, აღნიშნულ ფაქტს, ვფიქრობ, ყველა ჯანსაღად მოაზროვნე მოქალაქე დადებითად შეაფასებს. ამ ფონზე კი, აუცილებელია ქვეყანაში მედიკამენტების ხარისხის კონტროლის გამკაცრება. ამ შემთხვევაში, უფრო მეტად ვიქნებით დაცული საეჭვო, უხარისხო და არასანდო პროდუქციისგან“,** — განუცხადა „ჯიპისის“ თორნიკე რაზმაძემ.

პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენელი ქვემო ქართლში, ნინო ჭყოიძე ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივას მიესალმება და მიაჩნია, რომ ჯენერიკ მედიკამენტები ერთადერთი გამოსავალია, რომ პაციენტმა მკურნალობა ბოლომდე შეძლოს და შუა გზაში არ მიატოვოს.

„მოსახლეობის დიდ ნაწილს ფინანსური საშუალება არა აქვს, რომ მკურნალობის კურსი ბრენდული ძვირად ღირებული პრეპარატით ჩაიტაროს. შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა სოფლად მცხორები პაციენტებისთვის შვება იქნება“, —აღნიშნავს ექიმი, თუმცა მედიკამენტების ხარისხის კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზეც მიანიშნებს, რომ პაციენტი უფრო მეტად იყოს დაცული, რაც ასევე საზოგადოებაში ჯენერიკების ნდობასაც გაზრდის.

მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობს ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი სერგო ჩიხლაძე. მისი აზრით, მოქალაქეების ბიუჯეტი უხარისხო მედიკამენტზე ფუჭად აღარ დაიხარჯება, თუმცა, კონტროლის გაძლიერება მედიკამენტებზე ფასების მატების მიზეზად არ უნდა იქცეს. ქვეყანაში ისედაც აშკარაა სამკურნალო საშუალებებზე ფასების ზრდის ტენდენცია.

დანიელ ბექაური

◎ ალიან-ჩალიანი

სკოლებში სასწავლო პროცესი განახლდა

სასწავლო პროცესი განახლდა იმ სკოლებში, სადაც სწავლა გრიპის ვირუსის პრევენციის ან დიდთოვლობის გამო იყო შეწყვეტილი. ჯანდაცვის მინისტრის ინფორმაციით, ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

„წინა კვირას სასწავლო პროცესი შეჩერდა ნაწილი უამინდობის და ნაწილი პრევენციის გამო, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ის კერები, სადაც შესაძლებელი იყო დაავადების გავრცელება. დღევანდელი დღისთვის, საქართველოში სასწავლო პროცესი არსად არ არის შეწყვეტილი. ვაგრძელებთ დაკვირვებას და მონიტორინგს, თუ რაიმე ახალი გარემოებები გვექნება, აქედან გამომდინარე მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას“, — განაცხადა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და მშობლებს მოუწოდა, გრიპის სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, ბავშვები სკოლებში არ გაუშვან.

დედაქალაქის მერიაში საკადრო ცვლილებებია

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მერიაში უმნიშვნელო გადაადგილებებია დაგეგმილი.

მერიაში აცხადებენ, რომ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი მერიის სხვა სტრუქტურაში გადადის. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ თანამდებობას ტოვებს მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ჭაობი, რომლიდანაც თავის დაღწევა შესაძლებელია...

ამ პატარა წერილში კიდევ ერთხელ მინდა იმ მტკივნეულ საკითხზე გავამახვილო ყურადღება, რასაც სამორინეები, ინტერნეტკაზინოები და ათასგვარი აზარტული თამაშები ჰქვია, რომლის მოჯადოებული, ჯოჯოხეთური რკალიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ჩვენი ქვეყანა. არადა, ამ პრობლემის მოგვარება მეტად სასწრაფოა და გადადება არ ეგების, რადგან ნათლად ჩანს, თუ რა ჭაობში ეფლობა ჩვენი საზოგადოების ნაწილი, უმეტესად ახალგაზრდობა. უამრავი დანგრეული ოჯახი, გაყიდული ქონება, აქედან გამომდინარე ასერიგად გავრცელებული სუიციდის შემთხვევები. რატომღაც ამ პრობლემაზე, რომელიც რამდენჯერმე დაისვა პარლამენტშიც და თითქოს დაისახა გამოსავალი გზებიც, ახლა არავინ საუბრობს. პრესა, მასმედიის საშუალებები, იმის ნაცვლად, რომ ებრძოლონ ამ სენს, პირიქით, მისი რეკლამირებით არიან დაკავებულები და სათამაშო ბიზნესის მესვეურნი გვარიან თანხასაც იხდიან, რათა კიდევ უფრო მეტი ადამიანი ჩაითრიონ ამ წუმპეში, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ ერთეულებს, მტკიცე ფსიქიკისა და პრინციპის ადამიანებს თუ ძალუძთ.

აზარტული სათამაშო სახლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აკრძალული, ბევრ ქვეყანაში კი არსებობს კაზინოები, მაგრამ მხოლოდ უცხოელთათვის, რადგან იმ ქვეყნის მოქალაქეს აკრძალული აქვს აზარტულ თამაშებში მონაწილეობა. ჩვენთან, მართალია, დაედო ასაკობრივი ზღვარი მოქალაქეთა სამორინეებში შესვლას, მაგრამ იოლი ფულის მშოვნელებმაც, რომლებიც სათამაშო ბიზნესს კურირებენ, ახალი გამოსავალი გამონახეს – ინტერნეტთამაშები. აქ ყოველგვარ კონტროლს მიღმა რჩება ასაკობრივი ცენზი და ნებისმიერს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ჩაერთოს აზარტულ თამაშებში. ამას კი ვერც მშობელი აკონტროლებს და ვერც პედაგოგები, რადგან არის შემთხვევები, რომ ინტერნეტთამაშებში სკოლის მოსწავლეებიც არიან ჩართული. „ინტერნეტკაზინოების“ უმეტესობა უცხოეთშია დაფუძნებული, ქვეყნიდან უამრავი თანხა გაედინება. მავანნი იტყვიან, და იმითაც იმართლებენ თავს, რომ სამორინეებს სოლიდური თანხა შემოაქვთ ქვეყნის ბიუჯეტში და მათი აკრძალვით სერიოზულად დაზარალდება სახელმწიფო, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ეს უბრალოდ მათ მიერ აგორებული პიარია, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა. ისინი არად დაგიდევენ ჩვენი მოქალაქეების გაღატაკებას, ადამიანთა გაუბედურებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თვითმკვლელობასაც კი. მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ და ვნახავთ, რომ სამორინეებში გამდიდრებული ადამიანი იშვიათად გვინახავს, გაუბედურებული კი – მრავლად.

ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის სახელით მივესალმები პრემიერ-მინისტრის, ბატონ **გიორგი კვირიკაშვილის** ინიციატივას „ონლაინ თამაშებთან“, და სამორინეებთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ეტაპობრივად რეგულაცია და საბოლოოდ მათი უპირობოდ გაუქმება. ეს მართლაც მისასალმებელი და ეროვნული საქმეა, რადგან სწორედ ასე შეიძლება გადაურჩეს ერი განადგურებას, იოლ ფულს დახარბებული ახალგაზრდობა – გარყვნას. საჭიროდ მიმაჩნია, რომ პირველ ეტაპზე სასტიკად აიკრძალოს ათასგვარი რეკლამები, რომელთა მიზანიცაა ახალგაზრდობის აზარტულ თამაშებში ჩათრევა. მავნე ჩვევის აღმოფხვრა მხოლოდ ანტირეკლამით შეიძლება.

პეტრე ბერაია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

◎ ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

„არ არსებობენ ბავშვები, რომლებიც ცუდად იქცევიან, არიან მხოლოდ ცუდი ყოფაქცევის უფროსები“

ჰარი ბეკვინი.

მათხოვარი ბავშვისთვის ფულის მიცემა უნდა აიკრძალოს!!!

„ქუჩის ბავშვების“ ანუ მაწანწალების ცხოვრების არსი უცვლელია. მაგრამ შეიცვალა მათ მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება, რომელსაც სურს, სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციოს ყველა ის პრობლემა, რომელიც არასრულწლოვნებს უკავშირდება. ყველაზე საინტერესო ახლა ის კანონპროექტია, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მომზადდა და რომლის მიხედვითაც შემოდის სტატუსი „მიუსაფარი ბავშვები“. მთელი რიგი საჯარო სერვისების უზრუნველყოფით.

ფსიქოლოგი **ნინო ლორთქიფანიძე** ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ ქუჩაში სამათხოვროდ გასული ბავშვები ტრავმულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რის გამოც მათ ძირეული პრობლემები აქვთ: ემოციური, ქცევითი სირთულეები, წესებისადმი დაუმორჩილებლობა და სხვა. მაწანწალობის მიზეზი მრავალფეროვანია: ასეთი ბავშვები ძირითადად დესტრუქციული ოჯახებიდან არიან და სიღარიბე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებთ ქუჩისკენ. სახელმწიფოს პოზიციის გამოხატვაც მეტ-ნაკლებად სწორედ ამ ბოლო ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ანა აბაშიძე. „ჩემი აზრით, სახელმწიფო არასწორად არქმევს სახელს იმ პრობლემას, რაზეც კანონპროექტებს წერს. ქუჩაში მცხოვრები თუ მომუშავე ბავშვთა პრობლემა დანაშაულთან ასოცირებული მოვლენაა და არა მხოლოდ სოციალური სიდუხჭირის შედეგი. სახელმწიფო კი სწორედ ამ კუთხით აკეთებს აქცენტებს და აწვდის საზოგადოებას. ქუჩაში ბავშვის გასვლა, მუშაობა და ცხოვრება ორგანიზებული დანაშაულის შედეგია. ეს ორგანიზებული დამნაშავეები არიან როგორც ამ ბავშვების მშობლები, ასევე მესამე პირები, რომლებიც ამ ბავშვებისგან სარგებელს იღებენ“,** – ამბობს ის ერთ-ერთ სააგენტოსთან ამ თემაზე ინტერვიუს მიცემისას.

ქუჩის ბავშვების სოციალური სურათის შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი სამათხოვროდ იძულებით გადიან. ან მშობელი უბიძგებენ, ან უფროსი და-ძმა... მაგრამ ასევე ხდება მათი გაქირავება მესამე პირზე, რომელიც გარიგებას დებს მშობელთან, ან ნათესავთან. ეს შეიძლება ხდებოდეს ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ, მუქარით, დაშინებით. მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობის საშიშროების წინაშე აყენებენ. ანუ ეს არის ჩვეულებრივი ტრეფიკინგი, რომელსაც არანაირი საერთო არა აქვს შიმშილთან, ან სიდუხჭირესთან.

თუ რამდენი ასეთი არასრულწლოვანი ცხოვრობს დღეს ქუჩაში, ამის შესახებ სტატისტიკა არ არსებობს. სახელმწიფო აცხადებს, რომ ასეთი 500-მდე ბავშვია, 2011-2013 წლებში 1500-ზე მიუთითებდნენ, ხოლო 2008 წლის მონაცემებით 2000-საც კი აჭარბებდა. სახელმწიფომ იმდენად არა, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა აიღეს საკუთარ თავზე ამ ბავშვებზე ზრუნვა, იყო სხვადასხვა სერვისი შეთავაზებული. დღესაც არსებობს რამდენიმე დღის ცენტრი, სადაც ასეთ ბავშვებს მისვლას სთავაზობენ, მაგრამ მსურველი ნაკლებია. ძალიან ბევრი ვერ ეგუება იქაურ „კანონებს“ და ისევ ქუჩაში გარბის.

ანა აბაშიძის არგუმენტი ასეთია: **„ქუჩაში ბავშვების ორი კატეგორიაა. პირველი, რომლებიც დაბადებიდანვე ქუჩაში იზრდებიან და მეორე, ქუჩაში ახალგამოსულები, რომელთაც არა აქვთ ის „უნარ-ჩვევა“ ჩამოყალიბებული, რომელიც აუცილებელია ქუჩისთვის. ასეთი ბავშვების გადარჩენა უფრო იოლია, ვიდრე ქუჩას შეჩვეული ბავშვებისა“.**

არსებობს არანაკლებ საყურადღებო ფაქტორი: ისინი, რომლებმაც ბავშვები ქუჩაში სამათხოვროდ გაიყვანეს და აქედან ფულად სარგებელს იღებენ, არავითარ შემთხვევაში უფლებას არ მისცემენ ბავშვებს, რომელიმე ცენტრში მივიდნენ და სერვისით ისარგებლონ. ანუ საქმე გვაქვს ტიპურ ტრეფიკინგთან, კრიმინალთან, რომელსაც კანონმდებლობა ვერ აკონტროლებს. არც შსს-ს, არც ჯანდაცვას, მით უფრო სოციალურ სამსახურებს არა აქვთ ინფორმაცია, ვინ დგას ამ ბავშვების უკან, ვინ ბედავს მათ ექსპლოატაციას. არ იციან, პატრულმა თუ აიყვანა ვინმე და შემდეგ სამართლებრივი პასუხი თუ აგებინეს. არც ახალ კანონპროექტში არ არის ეს კომპონენტები გათვალისწინებული, და ამიტომაც მიიჩნევენ მესამე სექტორის წარმომადგენლები კანონპროექტს არასრულყოფილად.

ბოლო მონაცემებით აღმოჩნდა, რომ თბილისის ქუჩებში უმეტესად აზერბაიჯანიდან საზღვარგადმოკვეთილი არასრულწლოვნები მათხოვრობენ. შესაბამისად, სახელმწიფოს არა აქვს ამ ბავშვების უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ სადარბაზოებში, მიტოვებულ შენობაში, სადგურებთან ახლოს. მათხოვრობასთან ერთად თითქმის უმეტესობა ტოკსიკომანია. ანუ წებო მათთვის იაფი და ხელმწისაწდომი მათრობელა საშუალებაა, თუმცა კი, ნერვულ სისტემაზე ძლიერ მომწამვლელად მოქმედებს.

სხვა საქმეა, რომ „ქუჩის ბავშვების“ უმეტესობას დაბადების მოწმობა არა აქვს, ამიტომ „ოფიციალურად“ არ არსებობენ. იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სწორედ დაბადების მოწმობის უქონლობა მიაჩნია. მშობლები დოკუმენტის აღებაზე არ ზრუნავენ. კანონპროექტის მიხედვით, ყველა ასეთი ბავშვის აღრიცხვა და დოკუმენტების მოწესრიგება არის გათვალისწინებული.

და მაინც... ეს ყველაფერი გამოსავალი არ არის. მაგალითად, გერმანიაში ქუჩაში მჯდომი ბავშვებისთვის ფულის მიცემა იკრძალება. სამათხოვროდ გასულ ბავშვს შეიძლება საჭმელი მისცე, მაგრამ არა ფული, რადგან შეიძლება ამით მომწამვლელი წებო შეიძინოს. ამავე დროს აშკარაა, რომ ბავშვს ვიღაც ამათხოვრებს და მისი წახალისება არ უნდა მოხდეს.

ანა აბაშიძე მოუწოდებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ სწორედ ამ მიმართულებით დაიწყონ აქტიური კამპანია. **„ბავშვებისთვის თანხის მიცემით ჩვენ ვმონაწილეობთ და ვაფინანსებთ ტრეფიკინგის დანაშაულს. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ამ ბავშვებს ეს თანხა არ ხმარდებათ. თანხის მიცემის ნაცვლად, უმჯობესია, „ქუჩის ბავშვების“ შესახებ სახელმწიფო უწყებებს აცნობონ და გამოიყენონ მათ ხელში არსებული ყველა საშუალება“,** – ამბობს ის.

ბუნებრივია, ფაქტებს შესწავლა სჭირდება, მაგრამ არიან თვითმხილველები, რომლებიც ხედავენ, როგორ მოდის ბავშვთან ან ბავშვთა ჯგუფთან სრულწლოვანი ადამიანი და შეგროვილ თანხას ართმევს. ხანდახან ეს თანხა დაახლოებით ასი ლარიც კი არის. **„ეს ბავშვის ხელით ჩადენილი სერიოზული დანაშაულია. ამ შემთხვევაში ბავშვები მთავარი მსხვერპლი არიან. ვერ წარმომიდგენია, ამაზე როგორ შეიძლება სახელმწიფო დუმდეს?!“** – აცხადებს ანა აბაშიძე.

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისში ახალი ავტობუსები აგვისტოში შემოვა

თბილისში ახალი ავტობუსები აგვისტოში შემოვა. ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქმიანობის პრეზენტაციის დაწყებამდე განაცხადა.

მისი განმარტებით, 175 ახალ ავტობუსებზე ტენდერი გამოცხადებულია EBRD-ის საიტზე, ვიცე-მერის ინფორმაციით, ტენდერი 9 მარტს დასრულდება.

„აგვისტოში უკვე შემოვა სრულიად ახალი, თანამედროვე უსაფრთხო ახალი ტექნოლოგიებით დამზადებული ავტობუსები, ეს არის ძალიან სასიხარულო ინფორმაცია თბილისისთვის, რადგან ქალაქს ასეთი ავტობუსები ჯერ არ ჰქონია“, – განაცხადა ლაშა აბაშიძემ და დასძინა, რომ მერია ეტაპობრივად, სრულად გამოცვლის ავტობაზას.

მედიანიუსი

დედამიწის ზურგზე

ფინეთში დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებისათვის ლტოლვილებთან სიტუაციის გამო

ინიციატივის ავტორები – მოძრაობა Suomi ensin-ის წარმომადგენლები – დარწმუნებული არიან, რომ მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი თავს ვერ ართმევს ამოცანას. ქვეყანაში გამეფდა უპრეცედენტო სიტუაცია, რომელიც გამოიხატება მოსახლეობის დაუცველობაში, რაც გაჩნდა ფინეთში უცნობ ადამიანთა დიდი ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ.

დამასკოში აფეთქებათა მსხვერპლთა რიცხვი 76 კაცამდე გაიზარდა

სირიის დედაქალაქის ას-სეიიდა ზეინაბის კვარტალში კვირას სამი აფეთქება მოხდება. ტერორისტების ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ააფეთქეს დისტანციურად – იგი ჩადებული იყო ავტომობილში. ამავე დროს თვითმკვლელმა ააფეთქა სამარშრუტო ავტობუსი. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი აიფეთქა კიდევ ერთმა ტერორისტმა.

ისლამისტური კოალიცია „ჯაიშ ალ-ისლამი“ ჟენევაში მონაწილეობას მიიღებს მოლაპარაკებაში სირიასთან დაკავშირებით

სირიელი ჯიხადისტები უპირისპირდებიან როგორც სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს, ისე ტერორისტულ დაჯგუფებას „ისლამური სახელმწიფო“. ამ დროს დამასკო და მოსკოვი დაუშვებლად მიიჩნევენ „ჯაიშ ალ-ისლამის“ მონაწილეობას მოლაპარაკებაში. აღინიშნა, რომ დიპლომატების პოზიცია ჟენევაში ჯერჯერობით გაურკვეველია – ისინი დაგეგმირდნენ გადაწყვიტონ საკითხი მოგვიანებით.

ობამას სპეციალური წარმომადგენელი იყო სირიაში ადგილობრივ ძურთებთან შეხვედრაზე

ბრეტ მაკგერკი სირიაში ორი დღე იყო. მისი ვიზიტი გახდა პირველი სამხედრო ზონაში ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი დონის ჩინოვნიკებისათვის. ის შეხვდა ქურთების წარმომადგენლებს და განიხილა თანამშრომლობა ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში.

უკრაინა შესთავაზებს აშშ-ს დახმარებას ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში სირიაში, ამტკიცებს პრესა

„ჩვენ მოვამზადეთ მთელი რიგი ვარიანტები ისლამურ სახელმწიფოსთან ბძროლაში ჩვენს მხარდაჭერასთან დაკავშირებით, მათ შორის სირიაშიც, რაც შეიძლება ნიშნავდეს სამხედრო დახმარებასაც. ამან შეიძლება მიგვიყვანოს რუსეთთან შესაძლო შეტაკებასთან“, – აცნობა „ინდეპენდენტს“ წყარომ უკრაინის მთავრობაში.

„THE TIMES“: ვაშინგტონსა და ლონდონს განზრახული აქვთ, დაარწმუნონ ლიბია – განათავსოს ბრიტანელი ჯარისკაცები

ბრიტანელი და ამერიკელი სამხედროები, დიპლომატები და სპეციალური სამსახურების თანამშრომლები ხშირად ჩადიან ლიბიაში, რათა გამოავლინონ შესაძლო მოკავშირეები ადგილობრივი მეამბოხეებიდან ისლამურ სახელმწიფოსთან ერთობლივი ბრძოლისათვის. დაახლოებით ათასი ბრიტანელი ჯარისკაცი დარეზერვებული იყო იმისათვის, რომ შეერთებოდნენ ჯარებს იტალიის სარდლობით ლიბიელი სამხედროების მოსამზადებლად.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ პანკისის ხეობაში ტერორისტების ბაზა ვერ აღმოაჩინა

თბილისმა უარყო სერგეი ლავროვის განცხადება

საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობაში, ჩეჩნეთის საზღვარზე, „სიტუაციას მთლიანად აკონტროლებენ სამართალდამცავი ორგანოები“ და არანაირი ბაზა ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფების მომზადებისათვის იქ არაა. ამით თბილისში უარყვეს განცხადება, რომელიც ადრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა გააკეთა. იმის დემონსტრირებისათვის, რომ ხეობაში უმთავრესად ჩეჩენი მოსახლეობით გამეფებულია „სრული სიმშვიდე“, დასვენების დღეებში იქ გაემგზავრა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის სხვა ქვეყნების ელჩებთან ერთად.

საქართველოში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ამასწინანდელი განცხადება ამ რეგიონში ტერორისტული საფრთხის ზრდის შესახებ. **„ახლა მოდის ცნობები, რომ ინგილოები იყენებენ ამ ძნელადმისადგომ ტერიტორიას იმისთვის, რომ იქ ივარჯიშონ, დაისვენონ და შეივსონ თავიანთი მარაგები“,** – განაცხადა მინისტრმა პრესკონფერენციაზე მოსკოვში.

ამავე დროს რუსეთის ფედერაციის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველმა ანდრეი პრჟეზდომსკიმ განაცხადა, რომ ისლამურ სახელმწიფოში მოქმედებენ ქვედანაყოფები, რომლებიც ამზადებენ ტერორისტულ აქტებს რუსეთში და დასავლეთში ახმედ ჩატაევის ხელმძღვანელობით. **„რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურებისათვის ცნობილია, რომ ისლამური სახელმწიფოს რიგებში მოქმედებენ ქვედანაყოფები, რომლებიც ამზადებენ ტერორისტულ აქტებს რუსეთის ფედერაციასა და ევროპის ქვეყნებში. ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა პრჟეზდომსკიმ, საკითხი შეეხება ბატალიონს, რომელიც უმთავრესად შედგება ჩრდილოეთი კავკასიიდან გამოსულებიდან. მას სათავეში უდგას ახმედ ჩატაევი, ზედმეტსახელად „ცალხელა“.**

თბილისში ეს განცხადებები აღიქვეს ერთობ სერიოზულად: პანკისის ხეობა არაერთგზის გამხდარა მოსკოვთან მკვეთრი დაპირისპირების მიზეზი ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისიდან, როდესაც იქ დაფუძნდა ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმი. ახმედ ჩატაევი კი, რომელსაც იხსენებს ბატონი პრჟეზდომსკი, რამდენიმე წლის წინათ გაათავისუფლეს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის შუამდგომლობით. ჩატაევი საქართველოში გადიოდა ეგრეთწოდებული ლაფანყურის საქმეზე სოფელ ლაფანყურის (პანკისის ხეობის მახლობლად) დიდი ტერორისტული დაჯგუფების განადგურების შესახებ 2012 წლის სექტემბერში.

„რაც შეეხება ჩატაევს, იყო თუ არა მისი გათავისუფლება შეცდომა, ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ სად და როგორ გეგმავენ მას“, – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა. ამავე დროს მან დაგვარწმუნა, რომ ხეობაში ამჟამად **„არის აბსოლუტური სიმშვიდე და დღეისათვის არანაირი პრობლემა არ არსებობს“. ანალოგიური განცხადება ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ გააკეთა ქვეყნის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც. „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები მთლიანად აკონტროლებენ იქ სიტუაციას“,** – დაგვარწმუნა სახელმწიფოს მეთაურმა.

სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ეს განცხადებები საკმარისი არ არის, ხოლო იმისთვის რათა უჩვენონ, რომ ხეობაში უპირატესად ჩეჩენ მოსახლეობაში სუფევს სრული სიმშვიდე, პრეზიდენტი მარგველაშვილი შაბათს პირადად ჩავიდა იქ – ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ელჩებთან ერთად. გადაწყვეტილების შესახებ, ჩასულიყო დიპლომატებთან ერთად ხეობაში, მან განაცხადა უმალვე უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ. მგზავრობის შედეგების შესახებ – ამერიკის ელჩმა იან კელიმ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებით, პანკისის ხეობაში მართლაც „არანაირი ტერორისტული ბაზა არაა“.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს სარგეი ლავროვის გამონათქვამები მკვეთრად გააკრიტიკეს პანკისის სოფლების უხუცესებმაც, ტელეჟურნალისტების თანდასწრებით მათ განაცხადეს, რომ პანკისის ხეობაში „არანაირი ტერორისტული ბაზები არაა“. **„თქვენც მოიწვიეთ სერგეი ლავროვი თქვენს სოფლებში. დაე თავადვე დარწმუნდეს“,** – ურჩია მათ გიორგი მარგველაშვილმა და იქვე დაუმატა, რომ თავად რუსეთის მინისტრთან შეხვედრას არ აპირებს. **„დაე, მას შეხვდეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი“,** – შესთავაზა მან. **„თავისი თვალებით შეუძლია დაინახოს, თუ როგორი სიმშვიდეა აქ. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ასეთი მშვიდი ვითარება, რომლის დროსაც კრიმინალი საერთოდ არაა, სხვა ადგილებში მეტად იშვიათია“,** – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა, როდესაც აჯამებდა თავის საუბარს ჩეჩენ უხუცესებთან.

პანკისში ტერორისტული ბაზების არსებობა ჩვენთან საუბარში უარყო ექსპერტმაც ამ რეგიონში, ჟურნალისტმა ნინო ბურჭულაძემ. **„არანაირი ბაზა იქ რუსლან გილაევის გარდაცვალების დროიდან არ ყოფილა“,** – დარწმუნებულია ქალბატონი ბურჭულაძე, თუმცა გვაცნობა, რომ, მისი მონაცემებით, **„ზოგიერთმა რადიკალურად განწყობილმა ისლამისტმა საიდუმლოდ მისცა ფიცი ისლამურ სახელმწიფოს“.**

ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება არ უარყოფს, რომ პანკისის ხეობის ბევრი მცხოვრები მართლაც გაემგზავრა ისლამური სახელმწიფოსათვის საბრძოლველად, თანაც ორი მათგანი – ომარ აშ-შიშანი და მუსლიმ აშ-შიშანი – იმ შეიარაღებულ ფორმირებათა ლიდერებიც კი გახდა, რომლებიც სირიასა და ერაყში მოქმედებენ. როგორც იტყობინებიან, წასულებიდან 13 კაცი დაიღუპა. „პანკისიდან რამდენიმე ათეული კაცი წავიდა, – განაცხადა ჩვენთან საუბარში კავკასიის სპეციალისტმა მამუკა არეშიძემ, – მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა რეგიონებიდან მუსლიმანი მოსახლეობით, აჭარიდან და ქვემო ქართლიდან იქ საბრძოლველად მხოლოდ ერთეულები წავიდნენ“. სხვათა შორის, ადრე, როდესაც უპასუხებდა შეკითხვას ტერორისტების შესახებ საქართველოდან, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში იბრძვიან, ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა „ბიბი სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოდან გამოსულები ისლამურ სახელმწიფოში „გაცილებით უფრო ცოტაა, ვიდრე რუსები, ბრიტანელები ან სხვა ევროპული სახელმწიფოს მოქალაქეები“.

Коммерсантъ

Radio Marsho (RFE/RL)

◎ დედაქალაქი

ღვთის სახლი ზღვის უბანში

გასული კვირის მიწურულს ზღვის უბნის დასახლებაში, საქართველოს ყველაზე დიდი თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ეზოში წმინდა მარკოზ ეფესელის სახელობის ახალი ტაძარი ამოქმედდა, რომელიც მეუფე თევდორემ აკურთხა.

ახალი საყდარი მრევლის შემოწირულობით, ასევე ნაწილობრივ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქარათული სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს სახსრებით აშენდა. ტაძრის პროექტი არქიტექტორთა ჯგუფმა უსასყიდლოდ შექმნა, მის მშენებლობაში კი ახალგაზრდა ყმაწვილები და ქალიშვილები ისე აქტიურად მონაწილეობდნენ, რომ ფული მხოლოდ საშენი მასალების შეძენაზე იხარჯებოდა. საყდარი ძველი ქართული აგურით აიგო. სანთლის სიდიდის მიუხედავად, მლოცველებს მასში თანხის გადახდა შესაძლებლობისდაგვარად შეუძლიათ.

წმინდა მარკოზ ეფესელის სახელობის ტაძრის მრევლი, უწინარესად, ხანდაზმულთა პანსიონატის ბინადარნი, ასევე ზღვის უბნის მიკრორაიონის I, II და III კვარტალების რამდენიმე ათეული ათასი მოსახლე იქნება. იმის მიუხედავად, რომ პარასკევიდან მოყოლებული, ახალ საყდარში საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ, საეკლესიო მსახურება დადგენილი წესით მიმდინარეობს, ადგილობრივმა მცხოვრებთა უმრავლესობამ ამის თაობაზე ჯერაც არ იცის, ამიტომაც მღვდელმსახურებმა მამაო დავითმა და მამაო ვახტანგმა წინასწარ მადლობა გადაუხადეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას ინფორმაციის ოპერატიულობისა და გულისხმიერებისთვის.

მართალია, ახალი ეკლესია უკვე მოქმედია, მაგრამ მის ტერიტორიაზე სამრეკლოსა და სტუმართათვის განკუთვნილი პატარა ნაგებობის მშენებლობა ახლაღა დაიწყება.

საზეიმო წირვა-ლოცვა 1 თებერვალსაც გაიმართა, წმ. მარკოზ ეფესელის საყდარს მრავალი სასულიერო პირი და მლოცველი ეწვია, რომელმაც მსახურების შემდეგ საყდარს სამჯერ შემოუარა.

ოთარ ტურაბელიძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ალიან-ჩალიანი

ქართველი გრანტიჭამიები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას შეეცდებიან...

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებთ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საფრთხე მას შემდეგ გაჩნდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაარეგისტრირა ტრანსგენდერ „მაცაცოს“ — იგივე გიორგი ტატიშვილის სარჩელი, რომლითაც ის მოითხოვს, არაკონსტიტუციურად იცნოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულება, რომლითაც ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობითაა გარანტირებული!

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით: „ის, რაც საბერძნეთში უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში მოხდა, სავსებით რეალურია ჩვენთანაც განმეორდეს. დასავლეთ ევროპაში მხოლოდ იტალიაღა დარჩა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონებულა, თუმცაღა იტალიის მმართველი პარტია და პრემიერ-მინისტრი მატეო რენცი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას წელსვე აპირებენ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივაა.

მაქვს ინფორმაცია, რომ დასავლეთის ფონდებიდან გამოყოფილია მილიონობით დოლარი, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების კამპანიის მხარდასაჭერად საქართველოში, რომელსაც ქართული გრანტიჭამიები უკვე ითვისებენ. იმისათვის, რომ არ მოხდეს ის, რაც მთელს ევროპაში უკვე მოხდა, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდება ჩანაწერი შემდეგი რედაქციით: ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“.

ის მოუწოდებს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნუ გახდება მძევალი გარკვეული ჯგუფებისა, რომლებიც დასავლეთიდან მიღებული ფინანსებით ცდილობენ ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანონ. „ჩვენთვის ასევე კარგადაა ცნობილი, რომ ვინმე ტრანსგენდერ მაცაცოს უკან, რომელმაც შეიტანა სარჩელი რეალურად დგანან ის გრანტიჭამიები, რომლებიც უკვე კარგა ხანია, აწარმოებენ ბრძოლას ეროვნული ფასეულობების, ეკლესიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ“, — აცხადებს მჟავანაძე.

მედიანიუსი

◎ გამოიცა

წარსული მომავლისა და სულიერი ერთობის სამსახურში

გამოვიდა ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მე-9 ტომი

გამოიცა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ჯურნალ „ცოტნეიდელის“ მორიგი მე-9 ტომი. ეს არის ერთგვარი შეჯამება აკადემიის ერთწლიანი საქმიანობისა, რომლის მთავარი ორიენტი იყო წარსულისა და თანამედროვეობის თანაარსებობა, გზის გაკვლევა უკეთესი მერმისისაკენ. თვალის ერთი გადავლებითაც საცნაურია ღვთის რწმენა, სამშობლოს სიყვარული, დიდ მამულიშვილთა პატივგება, მეცნიერების, ხელოვნების დარგში მიღწევების პროპაგანდა. და, რაც მთავარია, კოლხეთის ნაცარმიყრილი ისტორიის წარმოჩენა, რათა ათასწლეულები არ დაეკარგოს ქვეყანას, ის რომ კოლხეთი ჩვენი ქვეყნის, და არამარტო, ისტორიის სათავეებთან დგას, საეჭვო არ უნდა იყოს, იგი ჩვენი სამშობლოს ერთიანობას ემსახურება, თუმცა, მავანი ცდილობს ყოველივე სეპარატიზმად წარმოაჩინოს. ჟურნალში ყველაფრისთვის ზუსტი და ამოუწურავი პასუხია გაცემული, მთელი პრინციპული სამართლიანობით და ისტორია განხილულია ჩვენი ერთიანი წარსულის ერთი წარმომავლობის ჭრილში.

ჟურნალში ვრცელი მასალები ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღმაშენებლის მიწიერებისა და სულიერების ერთობლიობას, უდიდეს ღვაწლს ერის სულიერი აღმავლობისათვის, აქვე იბეჭდება მისი ეპისტოლეები. შეუძლებელია საქართველო დაეცეს, რადგანაც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ღვთისმშობელი მარიამი სწორედაც სწყალობს და მფარველობის კალთას გადააფარებს: ვაზისს — ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სისხლსა და ხორბლის — უფლის ხორცის სამშობლოს — საქართველოს.

ჟურნალში ახალი მასალები იბეჭდება შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სტატიაში „ხატი შოთა რუსთაველის ოჯახიდან“ შოთა რუსთაველი და ცოტნე დადიანი ერთად ყოფილან ქტიტორები (მეურვეები). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, რომლის მხატვრობა 1245-1250 წლებში ერთად განუახლებიათ ცოტნეს მიერ წარგზავნილ გრიგოლ დრანდელს და შოთას მიერ წარგზავნილ ანტონი ალავერდელს.

შოთას და ცოტნეს ნათესაობა უფრო დიდია, ვიდრე ოჯახური და ხორციელი ნათესაობა, მათ აკავშირებდათ უკვდავი ნათესაობა სულისა, მათ აერთებთ სიყვარული სამშობლოსი.

პროფესორი **ციალა მესხია** სტატიაში — „ზვიად გამსახურდიას ესთეტიკა“ წერს — გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში ზვიად გამსახურდია აღნიშნავს: „რა შობს მოყვასისადმი თავგანწირვას? სიყვარული, ყოვლისმომცველი უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი. რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი. სად არიან მოწმენი უზენაესი ჭეშმარიტების სიყვარულისა, ესენი არიან გელათის აკადემიის აწ დახავსებული კედლები, ეს გახლავთ იყალთოს კვიპაროსების მისტიკური სიჩუმე, სად არიან მოწმენი მოყვასისადმი თავგანწირვისა? ესენი გახლავთ ველები ანისისა, დიდგორისა.

აქვე იბეჭდება **ზვიად გამსახურდიას** „საქართველოს სულიერი მისია“.

ჩვენს უახლეს წარსულზე, შეცდომებზე, ურთიერთობაზე დარდიან ფიქრებს აღძრავს ვრცელი სტატია სამეგრელოს, ე.ი. ქართული სულისა და სრულიად საქართველოს ტკივილი „უგუნური მოკეთის ღალატის“ და თუ „გონიერი მტრის“ მიზეზით.

როგორც აქ არის აღნიშნული, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ვანდალური ოპერაციების შედეგები ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის მოსახლეობისათვის.

აი, როგორ აღწერს დარჩელის ტრაგედიას ჟურნალისტი **ნატო კორსანტია:** „ჩელა ეურს დარჩელიშა — რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „შანსის“ 1997 წლის 2-3 ნომერში.

„სულ რაღაც ორმოც წუთში დარჩელს „ბეტეერებზე“ ამხედრებული 30-მდე „სოლიდურად“ შეიარაღებული პირი დაესხა თავს. ძნელია სრულად აღწერო ის, რაც მერე იქ მოხდა. ნარკოტიკებით გაბრუებულნი ჯერ გარედან ცხრილავდნენ მშვენიერ სახლებს, შემდეგ შედიოდნენ შიგნით, გამოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და მერე პირწმინდად გაძარცვულ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ და სულაც ბეტეერებიდან უშენდნენ ჭურვებს და აფეთქებდნენ. გამგელებულნი, ველური ყიჟინით, ავტომატების კაკანით, უშვერი გინებიათა და შეძახილებით გადარბოდნენ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე, სახლიდან — სახლში, ეზოდან — ეზოში და ამტვრევდნენ, ამსხვრევდნენ, აფეთქებდნენ.

ამ თემის გაგრძელებაა პოეტისა და პუბლიცისტის **ვახტანგ ხარჩილავას** წერილი „სიმებდაწყვეტილი ჩონგური და მეგრელმოძულეობის“ სინდრომი.

საინტერესო წერილებია აფხაზეთის თემაზე. **ანზორ შონია** — „აფხაზეთი: დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა.“ შესავალშივე აღნიშნულია:

აფხაზეთი საქართველოს მკვიდრი ნაწილია, I-II საუკუნეებიდან აფხაზეთად იწოდება, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ჩრდილო დასავლეთი ტერიტორიაა. ანაკოფიიდან (დღევანდელი ახალი ათონიდან) ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები).

„აფხაზი“ ამ ეპოქიდან აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა. ისევე, როგორც ლაზიკაში მცხოვრებ მეგრელს ერქვა ლაზი, იმერეთში — იმერელი, გურიაში — გურული, აჭარაში — აჭარელი, რაჭაში — რაჭველი და ისტორიული აფხაზი, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენელი, ჭეშმარიტი ქართველი იყო.

„თანამედროვე აფხაზები დღევანდელი აფხაზების 88-90% ქართველი აფხაზების შთამომავლები არიან, ხოლო 10/12% ბოლო 2-3 საუკუნეში აფხაზეთში ჩამოსული ჩრდილო-კავკასიელების — ჩერქეზების, ადიღების, ყაბარდოელების, ბალყარების და ა.შ მემკვიდრეები.

ფაქტობრივად, დღევანდელი აფხაზებიც ეთნიკურად ქართველები არიან და უმნიშვნელო რაოდენობის უცხოელები რეალურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ეთნიკურ სიტუაციაზე.

აქვე იბეჭდება **გია კვაშილავას** „ფესტოსის დისკო“ „კოლხური დამწერლობა“.

ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** სტატია **„გულის არქივში ნათლად ჩაქარგული გონების ღაღადისი“** — ეს გახლავთ მოაზრებები ცხოვრებაგავლილი კაცისა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობის მაგალითი, ანალიზი, სამომავლო ხედვები, წინააღმდეგობები და გულისტკენა, რაც შესავალშივე არის გამჟღავნებული.

ეს არის ბედი კაცისა, დაუდეგარი ცხოვრება და შემართება.

ჟურნალში ასევე ბევრი სამეცნიერო ისტორიული სტატია და შრომაა, განსაკუთრებით კოლხეთის პრობლემატიკაზე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე.

ზურაბ აბრალავა,

„სრ“-ის საკ. კორ.

ფოთი-თბილისი

◎ ძიუდო

სამივე სინჯის თითო მედალი

ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი მოიპოვეს ქართველმა ძიუდოისტმა ვაჟებმა ევროპის ღია თასზე, რომელსაც გასულ უქმეებზე ბულგარეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გიორგი პაპუნაშვილი, რომელიც შარშან ამავე ტურნირზე მესამე იყო. ქართველმა ფალავანმა ამჯერად ზედიზედ აჯობა დანიელ სებასტიან ლაურსენს, რუსეთელ ასლან ლაპინაგოვს, რუმინელ კრისტიან ბოდირლაუს, ნახევარფინალში ჰოლანდიელ ნაელ ვან დე კამერს სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი გერმანელ დომინიკ რასელს ვაზარით მოუგო.

მსგავს წარმატებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა 19 წლის გიორგი კაციაშვილს (73 კგ), რომელმაც უფროსებში პირველი მედალი მოიპოვა. სტარტზე მან აზერბაიჯანელი ფაგან გულიზადე დაამარცხა, მერე უკრაინის სახელით მოჭიდავე ნიკო საჯაია და ბელარუსი ვადიმ შოკა ჩამოიშორა გზიდან, მეოთხედფინალში უნგრელი ფრიგეს საბო გაფრთხილებებით მოახსნევინა. ნახევარფინალში სოფიის ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს, ჰოლანდიელ სემ ვან ვესტენდეს 20 წამში დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩვენებური ფინალსაც იგებდა რუსეთელ საიან ონდართან, მაგრამ შეცდა და სუფთად წააგო.

21 წლის ლაშა ტაველურმა (100) იპონებით დაჯაბნა ანგოლელი კასიმირო ბენტო, ალჟირელი ლიე ბუიაკუბი და იტალიელი ვინჩენცო დარკო, მაგრამ ნახევარფინალი იპონით დათმო ბრაზილიელ მსოფლიოს ექსჩემპიონ ლუსიანო კორეასთან. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში ტაველურმა ბრიტანელ ფილიპ ავიტალკარაზს სძლია.

გივი გაგუა

◎ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

სტამბოლიდან – უხვი ნადავლით

სტამბოლში დამთავრდა ვები ემრეს და ჰამიდ კაპლანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ქართველმა ფალავნებმა (ნაკრების მთავარი მწვრთნელი – ბეგი დარჩია, მწვრთნელები – ოთარ ტატიშვილი, აკაკი ჩაჩუა, ჯემალ ბაკურიძე, ზაზა ჯიბლაძე და ვაჟა ბოძაშვილი) 2 ოქროს, 5 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს და გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. მართალია, მასპინძლების მსგავსად ჩვენებმაც 70 ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ პირველობა თურქებს ერგოთ, რადგან მათს ყულაბაში ერთი „ოქროთი“ მეტი აღმოჩნდა. მესამე ადგილზე ყაზახეთის ნაკრები გავიდა.

პირად პირველობაში ლაშა გობაძემ (80) ნიკოლოზ კელასოვი (საქართველო), ემინ ახმადოვი (აზერბაიჯანი) და დოსზან კარტიკოვი (ყაზახეთი) დაამარცხა, ფინალში თანაგუნდელ თორნიკე ძამაშვილს სძლია – 2:0 და ოქროს მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა რობერტ ქობლიაშვილიც (85), რომელმაც ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან.

თორნიკე ძამაშვილის გარდა, მეორე ადგილებზე გავიდნენ რევაზ ლაშხი (59), შმაგი ბოლქვაძე (71), მინდია წულუკიძე (75) და ბექა კანდელაკი (130), ხოლო ბაკურ გოგოლი (71), მათე სოფაძე (85), გიორგი ცირეკიძე (85) და ნიკოლოზ კახელაშვილი (98) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „მილანი“ – „ინტერი“ 3:0, „კიევო“ – „იუვენტუსი“ 0:4, „ნაპოლი“ – „ემპოლი“ 5:1, „რომა“ – „ფროზინონე“ 3:1.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ატლეტიკო“ 2:1, „რეალი“ – „ესპანიოლი“ 6:0, „სევილია“ – „ლევანტე“ 3:1, „ლას პალმასი“ – „სელტა“ 2:1.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ჰოფენჰაიმი“ 2:0, „ვერდერი“ – „ჰერტა“ 3:3, „ბორუსია“ – „ინგოლშტადტი“ 2:0, „ლევერკუზენი“ – „ჰანოვერი“ 3:0.

საფრანგეთი. „სენტ ეტიენი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:2, „ანჟერი“ – „მონაკო“ 3:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგი

სათებერვლოდ ფიდემ გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები. გაგაცნობთ საუკეთესო ათეულებისა და ქართველთა მაჩვენებლებს:

ქალები. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2673), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2583), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2558), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2554), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2554), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2537), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2536), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2529), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2529), პია კრამლინგი (შვედეთი, 2521). 16. ბელა ხოტენაშვილი (2502), 19. ლელა ჯავახიშვილი (2489), 20. ნინო ბაციაშვილი (2485), 38. სალომე მელია (2452), 58. ნინო ხურციძე (2414), 73. მერი არაბიძე (2390), 92. სოფიკო გურამიშვილი (2374).

ვაჟები. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2844), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2801), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2798), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2792), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2787), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2785), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2784), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2783), უესლი სო (აშშ, 2773). ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა 2673 პუნქტით 69-ე ადგილზეა.

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

მეკარის როლი

გერმანიის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პოლონეთმა უმასპინძლა. ეს ალემანთა მეორე კონტინენტური ტიტულია.

ნახევარფინალში მომავალი ჩემპიონები სასწაულით გადარჩნენ ნორვეგიის გუნდთან, როცა ანგარიში ძირითადი დროის ბოლო წამებზე გაათანაბრეს და საწადელს ოვერტაიმში მიაღწიეს – 34:33.

განსხვავებული სცენარით წარიმართა გადამწყვეტი ბრძოლა უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ წინა ანალოგური ფორუმის მესამე პრიზიორ ესპანეთთან, რომლის გმირადაც ბუნდესმანშაფტის მეკარე ანდრეას ვოლფი მოგვევლინა. სწორედ მისმა ვირტუოზულმა თამაშმა განსაზღვრა არამარტო დასკვნითი მატჩის – 24:17, არამედ მთლიანად ტურნირის გამარჯვებულის ბედი.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

საბიჯულო ვნებანი

ნოვაკ ჯოკოვიჩი გინანტური ნაბიჯებით უახლოვდება ლეგენდარული როჯერ ფედერერის მიღწევას – 17 სადიდსლემო წარმატებას.

მე-11 ტიტული სერბმა ჩოგბურთელმა შოტლანდიელ ენდი მარეისთან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში განავარდებით მოიპოვა – 6:1, 7:5, 7:6 და „მწვანე კონტინენტი“ მეექვსედ(!) დალაშქრა, მისი მეტოქეკი პირიქით – მეხუთედ დამარცხდა დასკვნით შეხვედრაში.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, ყველა ელოდა, რომ საერთაშორისო რეიტინგის უპირობო ლიდერი სერენა უილიამსი მორიგ ოლიმპზე ავიდოდა და ტახტს სწორუპოვარ გერმანელ შტეფი გრაფთან გაიყოფდა 22-22 ტრიუმფით, მაგრამ პროგნოზები თავდაყირა დააყენა ამ უკანასკნელის თანამემამულე ანჟელიკ კერბერმა. მან ჯერ მერვედფინალში დაიქუხა ბელარუს ვიქტორია აზარენკასთან, ხოლო უილიამსს წირვა ორ პარტიაში გამოუყვანა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

თურმე, რა ქალს ჰყვარებიხარ, ლეო!..

განა ამქვეყნად მხოლოდ ბოღმა და შური მეფობს! განა ყველა ბრაზილიელს არგენტინელი სძულს და ყველა არგენტინელს ბრაზილიისათვის ავი უნდა! არამც და არამც! პლანეტა ჩვენი სავსეა ხალხით, რომელთაც ნამეტნავად უყვართ მოყვასი თვისი და მოყვასს საკუთარი ფუმფულა მკერდითაც კი გადაეფარებიან.

პოპულარულმა ბრაზილიელმა მოდელმა სუზი კორტესმა საჯაროდ განაცხადა, რომ მთელი გულითა და სულით სურდა ოქროს ბურთი კვლავ ლეო მესის მოეგო და მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი ნეიმარი ძალიანაც უყვარს, სუზის აზრით, ამჟამად მთელს მსოფლიოში პირველი და უპირველესი სწორედ ჩია არგენტინელია.

შარშანწინ სუზი კორტესმა ბრაზილიაში ნამეტნავად პოპულარულ გავამშვენიერ ქალთა კონკურსში „მის ბუმ ბუმში“ გაიმარჯვა და მისმა უკანალმა ყველა ისე აღაფრთოვანა, რომ ჟიურის წევრები უნებლიედ საკუთარ გავაზე იდებდნენ ხელს და პარალელს ავლებდნენ კორტესის სხეულის უკანა ნაწილთან. თურმე, რა ქალს ჰყვარებიხარ, ლეო!..

როსტომ რაჭველიშვილი



◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოში დათბება და იწვიმებს

გარემოს ეროვნული სააგენტო 1-7 თებერვალს საქართველოში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, 1 თებერვალს საქართველოში შენარჩუნებული იქნება თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი.

2 თებერვალს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი, მაღალმთიან რაიონებში შესაძლებელია ქარბუქი. იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა იქნება +4, +9 გრადუსი.

3-დან 6 თებერვლამდე გამოიდარებს. მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ჰაერის ტემპერატურა +13, +18 გრადუსამდე მოიმატებს.

6 თებერვალს მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი. 7 თებერვლიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიდარებს.

„იმედმა“ „მაესტრო“ იყიდა

ტელეკომპანია „მაესტრო“ კომპანია „ჯორჯიან მედია გრუპმა“ იყიდა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელია.

ამ ინფორმაციას ტელეკომპანიებში ჯერჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებენ. თუმცა, როგორც ინფორმირებული წყარო ამბობს, მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია, შეთანხმებას მიაღწიეს და ამის შესახებ განცხადებას რამდენიმე დღეში გააკეთებენ.

სხვა დეტალები, „მაესტროს“ წილის რამდენი პროცენტი იყიდა და რა ფორმით განხორციელდება მართვა, ჯერჯერობით უცნობია.

ცნობისთვის, კომპანია „ჯორჯიან მედია გრუპი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძეა, ტელეკომპანია „იმედის“ 100%-იან წილს ფლობს.

ტელეკომპანია „მაესტროს“ წილების ფლობაზე კი დავა აქვთ მაკა ასათიანს, მის მეუღლეს კოტე გოგელიას და გიორგი გაჩეჩილაძეს.

მიმოქცევაში ახალი ბანკნოტები გამოვიდა

დღეიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაში ლარის განახლებული ბანკნოტები გამოვიდა. თავდაპირველად 20-და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტი იქნება, რაც შეეხება 100 ლარის ბანკნოტს, ის ცოტა მოგვიანებით გამოვა.

ახალ ბანკნოტებს ახასიათებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი. განახლდა ზომებიც. ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისთვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი.

ტრაგედია მშენებლობაზე

ქავთარაძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობიდან მამაკაცი გადმოვარდა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ცნობით, ის ადგილზე გარდაიცვალა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, გარდაცვლილი შვილთან ერთად მუშაობდა მშენებლობაზე.

ამ დროისთვის მშენებარე სახლთან პოლიცია იმყოფება. თვითმხილველების თქმით, მშენებლობაზე დასაქმებული ყველა მუშა შენობის გარეთ გამოიყვანეს.

ქავთარაძის ქუჩაზე მშენებარე შენობა 14-სართულიანია.

სანთელი

მერი გაბრიაძე

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა — გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, გამორჩეული და მეტად ნიჭიერი ქალბატონი, უკეთილშობილესი ადამიანი **მერი გაბრიაძე**.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო მან მუშაობა საქინფორმში, სადაც მოღვაწეობდა მის გაუქმებამდე: იყო რიგითი კორესპონდენტი, განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე. მისი მაღალპროფესიული და ღრმაშინაარსიანი კორესპონდენციები, სტატიები და ნარკვევები იბეჭდებოდა საქართველოს ყველა გაზეთში, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პერიოდულ პრესაში და მათ მაღალი გამოხმაურებაც ჰქონდათ.

მერი გაბრიაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, მრავალი საპატიო სიგელით.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მერი გაბრიაძის — ღირსეული ადამიანისა და ჟურნალისტის — სული.

მეგობრები, კოლეგები

გურამ გოგიაშვილი, ზურაბ ლომიძე, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულია, რუსლან რუსია, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე

მერი გაბრიაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ ცხადაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა ბიძაშვილი, ცნობილი ქართველი კერამიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ღირსების ორდენოსანი, ჩვენი პატარების უსაყვარლესი მწერლის მაყვალა მრევლიშვილის ქალიშვილი

ალდე კაკაბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის შვილს გია იაშვილს. პანაშვიდი 2, 3 II, 17 სთ. მის. ქუთათელაძის ჩიხი (ყოფილი ალ. ყაზბეგის) 4. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 4 II, 14 სთ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, თვალსაჩინო მეცნიერის, პროფესორ

შოთა მალაზონიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 2 II, 14 სთ. მისამართი: ბახტრიონის ქ. 16.

ზიზი ანთელავა, ვახტანგ, გიორგი, დალი ბერულავები, თეა ვახანია, გიორგი ჩიქავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, უსათნოესი ქალბატონი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ყოფილი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ზაირა

ხორავა-ანთელავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 2 II, 14 სთ. თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. №33, I სადარბაზო.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები თებერვალში

თებერვალში **გეოფიზიკური აქტიურობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3, 6-12, 15, 19V 22-24, 27, 29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

3 — მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსანში. შესაძლებელია რევმატიზმის, ართროზისა და ართრიტის, ოსტეოქონდროზის გამწვავება. საალბათოა ტრავმები დაბნეულობის ან გაუფრთხილებლობის გამო. არ არის გამორიცხული გაცივების დაავადებანი, პრობლემები იმუნურ სისტემასთან, ღვიძლთან დაკავშირებით. შეიძლება თავი შეგვახსენოს ქვებმა ნაღვლის და შარდის ბუშტებში, ჰემოროიმ, ყაბზობამ. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, მივიღოთ მსუბუქი და მცენარეული საკვები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ვერიდოთ გაციებას, არ ავწიოთ სიმძიმეები. არ არის სასურველი დაგვიწყოთ ახალი საქმეები და დავსახოთ გეგმები.

6 — მთვარის შეერთება პლუტონთან, ვენერასთან და მერკურთან თხის რძაში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. საალბათოა ხერხემლის, სახსრების, შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებათა გამწვავება, კბილის ტკივილი, ნევრალგიური ხასიათის კანისა და კუჭის დაავადებანი. გაითვალისწინეთ თქვენი ძალები, როდესაც ახალ ვალდებულებებს კისრულობთ. სასარგებლოა გაკაჟება, კანის მოვლა, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები. იყავით ყურადღებით ტრანსპორტით მოგზაურობის დროს.

8 — ახალი მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. დასუსტებულია იმუნიტეტი, დაქვეითებულია ფიზიკური და გონებრივი აქტიურობა, შრომისუნარიანობა. შესაძლებელია დეპრესია, ემოციური აგზნებადობა, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. საალბათოა ტკივილები სახსრებში, ფეხების კუნთებში. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, დიდ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვებზე, ვერიდოთ კონფლიქტებს, არ წამოვიწყოთ ახალი საქმეები, არ გადავღალოთ თვალები და ფეხები. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნებანი, შხაპი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები.

10 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. შესაძლებელია დაბნეულობა, უყურადღებობა, ღრუბლებში ნავარდი. არ არის გამორიცხული ინფექციური დაავადებანი, ფეხების შეშუპება, ტკივილები ტერფებში, მხედველობის დასუსტება. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამლვას — ალკოჰოლით, გაზით, უცნობი წამლებით, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებით. დაიცავით დიეტა. იყავით ყურადღებით თქვენს დოკუმენტებთან და ნივთებთან დაკავშირებით — შესაძლებელია ქურდობა და დაკარგვები. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფის რეფლექტორული ზონების მასაჟი, მსუბუქი გასეირნებანი.

12 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. გაზრდილია ფიზიკური და გონებრივი აქტიურობა, გაღიზიანება, მოუთმენლობა, მიდრეკილება არასტანდარტული

გადაწყვეტილებებისადმი და ქცევებისადმი. შესაძლებელია თვალების, კბილების, სმენის ორგანოების დაავადებანი. გადაღლილობის დროს შეიძლება გაჩნდეს მოდუნება და უძილობა. რეკომენდებულია, უარი ვთქვათ ნერვული სისტემის გამღიზიანებელ მოწევაზე, ყავაზე, შოკოლადზე, აგრეთვე ცხიმიან და მძიმე საკვებზე. აუცილებელია დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, ვერიდოთ აჩქარებას, დაცემას, სტრესებსა და კონფლიქტებს, შევინარჩუნოთ კეთილგანწყობილება. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, გასეირნება, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები.

15 — მთვარის, მერკურის პირველი მეოთხედი მერწყულის პირველ გრადუსებში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. იზრდება ენერგია, აქტიურობა, გულღიაობა, ძლიერდება აღქმის უნარი გარეგნულ ზემოქმედებაზე, ჩნდება მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, სიჯიუტისაკენ. შესაძლებელია გაღიზიანება, არაადეკვატური ქცევები, დავები და კონფლიქტები. სავარაუდოა უძილობა, თავის ტკივილი, ზედა სასუნთქი გზების, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებანი. წელკავი, ოსტეოქონდროზის გამწვავება, მუხლის სახსრების, ხელის მტევნების რევმატიზმი, კუნთოვანი კრუნჩხვები, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ყველა ნერვული დაავადება. ნუ გადავტირთავთ ფეხებს, გაუფრთხილდით თვალებს და ნერვულ სისტემას.

22 — სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, უყურადღებობა, სურვილი — ვაკრიტიკოთ ყველა. არ არის გამორიცხული ნერვული სისტემის დაავადებანი, უძილობა, უქეიფობა, აგრეთვე კუჭქვეშა ჯირკვლისა და კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დარღვევა. ჯანმრთელობის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი კვება, გადაუწყვეტელი პრობლემები, სტრესები და გადაღლილობა. სასურველია, მივიღოთ მსუბუქი საკვები, ხარისხიანი პროდუქტები ვისეირნოთ სუფთა ჰაერზე, ვივარჯიშოთ ფიზიკურად, ჩავიტაროთ პროფილაქტიკური გამოკვლევები.

24 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ძალწულში. შესაძლებელია ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი, ყაბზობა, მიდრეკილება მოწამლვებისადმი, რეკომენდებულია გამოვიყენოთ კვების ხარისხიანი პროდუქტები, მსუბუქი საკვები, ბოსტნეული, ხილი, შევზღუდოთ ტკბილეულის მოხმარება, დავიცვათ დიეტა, არ გვქონდეს დიდი შესვენებები საკვების მიღების პერიოდებში. უარი ვთქვათ ცხიმიან და მძიმე საკვებზე, ალკოჰოლზე, ყავაზე, შოკოლადზე. ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური შემოწმებებისათვის, სერიოზული მკურნალობის მომზადებისათვის.

29 — მთვარის შეერთება მარსთან ღრიანკალში. შეიძლება შეინიშნებოდეს გაზრდილი ემოციურობა, გაღიზიანება, შიშის შემოტევები, თვითკონტროლის დაკარგვა. შესაძლებელია შარდის ბუშტის, შარდსადენების,წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი დაავადებანი, ცისტიტი და ჰემოროი. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, უძილობა, მწვავე რესპირატორული დაავადებანი. ერიდეთ ტრავმებს, დამწვრობას და ჭრილობებს, ინფექციებს, გაცივებას. ნუ მოიხმართ ცხარე და ცხიმიან საკვებს, უარი თქვით ალკოჰოლზე. ხელსაყრელი დღეებია ინტელექტუალური და ფიზიკური მუშაობისათვის.

„ნიკალა პაპადან“ „GEORGIAN TEATRE VAUDEVILLE“-მდე

თბილისზე, ხელოვნებასა და მეგობრებზე გადაყოლილია მიშა ზაქარიაშვილი. სულ ახლის ძიებაშია, ენთუზიასტი მეგობრების დახმარებით წვალობს და ცდილობს ის სიყვარული ხელოვნების მიმართ თავად რომ გაუსისხლხორცებია, სხვასაც გადასცეს. ერთფეროვანი, ზოგიერთისთვის

მიშა ზაქარიაშვილი

გაუსაძლისი ცხოვრების გახალისებას ცდილობს. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მიშას სიმღერები ჰიტად იქცა – **„დავლევ, აბა რას ვიზამ“, „ნიკალა პაპა“** და მრავალი სხვა ქალაქური სიმღერები დიდმა და პატარამ აიტაცა. ჩვენი ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები კი არა, საზღვარგარეთაც ასრულებენო, მითხრა. ისრაელში და უკრაინაში ქართულად მღერიან, გაგიკვირდებათ და ქალებმაც მოუსინჯეს გემო „დავლევ, აბა, რას ვიზამსო“.

ოცნებად ჰქონდა გადაქცეული და აისრულა – „ბარდების კლუბი“ ჩამოაყალიბა. მთელი ექვსი წელი შევალიე ამ საქმეს, თითქმის მთელი საქართველო მოვიარე და იმდენი საინტერესო შემსრულებელი მოვძებნე, გაგიკვირდებათ კიდეცო. „ბარდფორუმი“ ჩაატარა, თითქმის ორსაათნახევრიანი. თხუთმეტამდე ბარდი, სხვადასხვა პროფესიის (მხატვრები, ექიმები, არქიტექტორები, ფილოლოგები და კიდევ ვინ მოთვლის) მუსიკაზე უზომოდ შეყვარებული ხალხი შეიკრიბაო. **ზურა მანაგაძე, ზურა დოიჯაშვილი, ზურა ზაქარიაძე – „თელაველი პაპა“, პანჩო, მერაბ ანდრონიკაშვილი** და სხვები. კონცერტი ქალთა კოლონიაშიც ჩავატარეთ, პატიმარ ქალებს ვუმღერეთ, ერთი ლამაზი საღამოც ვაჩუქეთ.

„ვოდევილების თეატრზე“ გადავდივართ.

აღტაცებით საუბრობს. თეატრის დაარსება კი არა უბრალოდ სპექტაკლის დადგმაც უამრავ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ჩვენ კი უფულოდ რას გავხდებოდით. ერთი რეკვიზიტი ეს ვეფხვი იყოო და იქვე ტახტზე მიწოლილ ვეფხვს მაჩვენებს. ყველაფერი ოცდაათლარიანი უბრალო ფარდითა და მეგობართა შეგულიანებით დავიწყეთო. თავიდან მომღერლების შეკრება დავიწყე, მაგრამ მსახიობებსაც ვთხოვეო. დასში ექვსი მსახიობი შევაგროვე, ზოგი ცნობილი, ზოგი დამწყები და ქალბატონ **გულო კობიაშვილის** მოთხრობების მიხედვით „სიყვარულის ჯალათი“ დავდგითო. ქორეოგრაფიაში **ხვიჩა ალადაშვილი** დაგვეხმარა, მუსიკალურ გაფორმებაში **მამუკა მეტრეველი,** მხატვარი ჩვენი **ნოდარი** გახლავთ **ჭიპაშვილი,** დირექტორი **დავით მამაცაშვილი,** მე ჩემი ძველი პროფესია გავიხსენე – თეატრალური მაქვს დამთავრებული, სარეჟისორო ფაკულტეტი, შემდეგ მუსიკალური თეატრის სარეჟისოროც დავამთავრე, დიდი გიგა ლორთქიფანიძის კლასი, მაგრამ გავიდა დრო და ახლა გამომადგა ყველაფერი. ეს ჩემი პირველი სპექტაკლი იყო.

თიკა ჯამბურია, ნოდარ ხუციშვილი, მამუკა პავლიაშვილი, მონიკა სამადაშვილი, ანუკა სოხაძე, გიორგი აბულაძე – ვკითხულობ საგულდაგულოდ დაბეჭდილ აფიშაზე. ისევ მიშა იხსენებს – ისე ანერვიულდნენ მსახიობები, რომ პრემიერა კინაღამ ჩაგვეშალა, მაგრამ სპექტაკლის წინ ნავსი გატყდა და მართლაც მშვენიერი პრემიერა გამოვიდა. უამრავი ხალხი დაესწრო. რა ვიცი, კმაყოფილები იყვნენ. შინაურები და ახლობლები სპეციალურად არ მოგვიწვევია, სხვათა აზრი გვაინტერესებდა, ხომ იცი შინაური დაგინდობს, შეცდომებზე შეიძლება თვალი დახუჭოს და...

სოციალურ თემებს ვეძებ, ცხოვრებისეულს, ისევ რამდენიმე მოთხრობის გაერთიანებას ვაპირებ, ახალგაზრდა ავტორებს ვეხმიანები, მსახიობებისთვისაც ღიაა ჩვენი თეატრის კარი, მომღერლებისთვისაც, ახლად დამწყებთათვისაც, რამდენიმე ნოველა მაქვს შერჩეული. კომპოზიტორთა კავშირმა პრემიერაზე თავისი დარბაზი დაგვითმო. ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

ყველაფერი კარგად იქნება. თანხებიც გამოჩნდება. მთავარია, რომ დავიწყეთ და ხალხსაც მოეწონა. მთავარია, რომ ჩვენი საქმე გვიყვარს და იმედია, სიძნელეებსაც ვძლევთ.

ასე რომ, მუდამ ძიებაში მყოფმა და ჩრდილში მდგარმა მიშა ზაქარიაშვილმა ოცნება აისრულა – თბილისელებს გვაქვს ვოდევილების თეატრი, გვაქვს „ბარდების კლუბი“. მუდამ მოუსვენარ და მაძიებელ მიშას ყავს ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული მეგობრები და, იმედია, მაყურებელიც არ მოაკლდებათ...

მამუკა ვაშაკიძე

„ბარდოფორუმის“ მონაწილეები

ვოდევილების თეატრის პირველი სპექტაკლი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ექიმო, მიშველეთ! მე ამ ცისქვეშეთში ყველაზე სრულქმნილი არსება ვარ!

– კი, მაგრამ რით შემიძლია ვუშველო მე, უბრალო მოკვდავმა ექიმმა, ასეთ საოცრებას?

– მე კი არ უნდა მიშველოთ, ექიმო, იმ იდიოტებს მოუხერხეთ რამე, ვისაც ამაში ეჭვი ეპარება!

* * *

ზაძარია, ოჯახის უფროსი კარს აღებს და სიდედრის „თამადობით“ ცოლის სოფლელ ნათესავთა გუნდს ხედავს.

– კი მაგრამ, „დედიკო“, – მოკუმული ტუჩებით სიტყვებს მარცვლავს სიგიჟის პირას უცბად მისული კაცი, – რატომ არ შეგვატყობინეთ, რომ „ჩამობრძანებას“ აპირებდით?

– ჩვენ ყველას ძალიან გვინდოდა, რომ შინ დაგვხვედროდით!

* * *

მაინც როგორი ბრძენი და მოქნილი დიპლომატია ეს ჩემი ცოლი, – ამბობს კუკური. რომც ვიჩხუბოთ და ერთმანეთს ხმასაც არ ვცემდეთ, სამსახურიდან შინ რომ ვბრუნდები, მაინც გემრიელ სადილს მახვედრებს – წვნიანს, კიტრი-პომიდვრის სალათას, მჭადსა და ყველს, კომპოტს... ერთი კია, ჭურჭლის რეცხვა ეზარება და ყველაფერს ერთი ჯამით მიდგამს!

– **უჰ,** რა კარგი სუნი აგდის, ძვირფასო. რა გასხია?

– ის სუნამო, შენ რომ მაჩუქე გუშინ!

– კი მაგრამ, მე რომ შენთვის სუნამო დიდი ხანია, არ მიყიდია?

– ჰოდა, შენი სახელით მე თვითონ ვიყიდე! თუ არ გჯერა, საფულეში ჩაიხედე!

* * *

– **ჩემო** ჯიმშერ, ძვირფასო! გახსოვს, შარშან სათევზაოდ რომ წახვედი სამი დღით ჯანდარის ტბაზე?

– მახსოვს, როგორ არა!

– ჰოდა, იქაურმა სქელშუბლამ დაგირეკა გუშინ საღამოზე და დაგიბარა – მუცლით ქვირითი დამაქვსო!..

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!